1	#\S&7\KA\\ (%)U&\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\	829
2	a. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ (ᲝᲚᲘᲛᲞᲘ)	769
2 3 4 5 6 7	ᲒᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ (3ᲘᲢ Ვ୯ᲝᲠᲕ ᲓᲘᲐ)	621
4	J35R5605 (585KO)	520
5	ᲒᲠᲘᲨᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲓᲘᲜᲐᲛᲝ)	498
6	ᲥᲕᲐᲩᲐᲮᲘᲐ (ᲐᲛᲔᲠᲘ)	454
7	ძვაჩახია (ამარი)	444
8	ᲡᲢᲣᲠᲣᲐ (ᲓᲘᲜᲐᲛᲝ/RᲘᲮᲣᲠᲐ)	431
9	aoa=560 (m=na30)	375
10	Lmakn 330 ლ (るらの 330)	374
ana	ยๆกองคว อฮิศจๆๆ เอศก	D&D
1	J3383603 (380A0)	444
2	aoa=560 (m=7a30)	270
3	しつ 3000000000000000000000000000000000000	182
30000000000		************

2	80A5560 (M570830)			270
3	い330mm (80k)	50)		182
9	ദാലാദാ ലേലേ	Lib	350	હકા
1-2	州型り830-3360000	7.0	(11	ෂ්ට්රය)
	806873WEU-97800U	7:0	(XXX)	ෂ්ට්රිය)
3-5	ᲓᲘᲚᲐ-3ᲘᲢ ᲕᲚᲠᲕᲚᲘᲐ	0:6	(XII	ෂ්ටිරු()
	3787010-78040	1:7	(XXI	ෂ්ටුරු()
	80%\50-\80%0	0:6	(XXV	ෂ්ටිරු()
6-13	空りもとるの一空りごと	6:1	(11	ෂ්ට්රු()
	700097-37POOU	5.0	(X	ෂ්ටුරු()
	37830UU-WZU33U	0.5	(XV	ෂ්ට්රිරා)
	8068-308 34MK3405	5.0	(XVII	ෂ්ට්රයා)
	&MK309M-90658M	0:5	(XVII	ෂ්ට්රිය)
	<u> </u>	5.0	(XXI	ෂ්ට්රිය)
	808767-6089W	0:5	(XXV	ෂ්ට්රි ()
	ゆつむしょういっちょう	5:0	(XXV)	8340)
-	21 22 mmn SEO 2	Towns		75

	วษวธิการการ	asc	กระล
1	37800UU-7904U	1:7	(XXI & JAN)
2-6	역೧ᲜᲐᲛᲝ-ᲓᲘᲚᲐ	6:1	(॥ ୫ଅନ୍ନମ)
	MZU93U-97P000	7:0	(II & JAN)
	3M432M90-804560	3:4	(N & JAN)
	308 32763202-28260	4:3	(XIII & 7560)
	80853W6U-97800U	7.0	(XXV &JAN)

าคะเคย 3. 40CM30 (%) USUS 3M60)

	อสสกรก
1-3	80857K0 (90658M)
	3. ºM6@340 (%3U&39M6N)
	ლ გგიგალაშვილი (გეგაგი)

Hadees	%3 680%0 368 3	nscenac
1	0:0	24
2	1:0	24 22 18
2 3 4 5 6	0:1	18
4	2:0	13
5	3:0	13
6	1:1	11
7	2:1	9
8	3:1	8

8	3:1	8
	368086380	
	(ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ)	
1	k5%0@M65830CC0	16
2-4	3560533020	15
	3000 CPC 2000 CPC 200	15
	3567474602	15
5-7	J35K5GR5CT05	14
	しつにひるひろひ	14
	るつづきに ころり こうしゅう こう こうしゅう こう こうしゅう こう	14
8 9 10 11	3KN\$330CO	13
9	しららいろ	12
10	JNJJ80033050	10
11	3. ºM365330 CM	9
12	ROG999	9 8 7 7
13-14	40470	7
	37083050	
15	6M6035330CCO	6
16	つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ つ	6 5
17	8738506040	1

32 8(7)5(7)
(ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲐ Ტ ᲩᲨᲘ 4.57)
19 830താლი
(ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲐ Ტ ᲩᲨᲘ 2.71)
0 ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲐᲗᲘ
easanmeasan

BALDET BURGE

430 8ጠᲚᲘ
(いさづいや ついあおる() 2.36)
480 <mark>83</mark>0 നാლന
(LN371547/14 3N&F30 2.63)
32 ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

(L) 2705 PM 25 BR30 0.17)

CIC


ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ. ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

8333LN 20 anconnesce

ᲯᲔᲠᲐᲠᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲒᲔᲠᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲔᲡ, ᲐᲚᲝᲜᲡᲝᲡ ᲙᲘ **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡᲝ**

რაფა გენიტესი ჩემპიონთა ლიგიდან მიღებულ შემოსავალს <mark>კარლოს ტევესში</mark> დახარჯავს. ესპანელი მწვრთნელი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას ცდილობს. მას **ხავიერ მასკერა**ნოს იმედი აქვს. მასკერანო "ენფილდზე" იანვრის ტრანსფერებისას გადავიდა. მან მწვრთნელს მეგობართან სიტყვა უნდა შეანიოს. კარლოსი დაალოებით 20 მილიონი გირვანქა ეღირება, თუმცა დღემდე გაურკვეველია, ვინ არის მისი კანონიერი მესა-კუთრე. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლივერპულელებს მასკერანო 12 მილიონი დაუჯდათ.

ლიგის ფინალის წინ **სტივ ჯერარდმა** "ლივერპულთან" ახალი კონტრაქტის პირობები შეათანხმა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ის 30 მილიონ გირვანქას მიიღებს. ხუთწლიან ხელშეკრულებაზე მოურიგდნენ **ჯეიმი კარაგერსაც**. მისი შემოსავალი უფ-რო მოკრძალებული იქნება - 20 მილიონი. ვარსკვლავები კონტრაქტებს "მილანთან" მატჩის შემდეგ გააფორმებენ. ჩაშლის პირა-საა მოლაპარაკებები **ჩაბი ალონსოსთან**. ესპანელი ნახევარმცველი ტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს, თუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში სკამზე დასვამენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს ასე მოხდება. ბენიტესი თანამემამულეზე წინ მასკერანოს აყენებს. ბევრისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა "ჩელსისთან" საპასუხო ნახევარფინალში ხავიერის ძირითადში ხილვა. მას ალონსოს კუთვნილი ადგილი უბოძეს. ერთი კვირით ადრე, "სტემფორდ ბრიჯზე", ორივე საყრდენმა ძირითადში ითამაშა, მაგრამ ბენიტესს მოეჩეენა, რომ შუა ხაზი შენელებული იყო. ამიტომ მომდევ-ნო შეხვედრაში მხოლოდ მასკერანო ათამაშა. მილანელთა წინააღმდეგ ხავიერს კაკას განეიტრალება დაევალება.



ჩაბი ალონსოს ესპანეთში დაბრუნებას უნინასწარმეტყველებენ. მისი შეძენა "რეალსა" და "ბარსელონას" სურთ. ჩაბის ლებენ. მისი მემენა რეალსა და მარსელობას ბერი. ჩამის პოზიციებს ასუსტებს ისიც, რომ "ლივერპულმა" ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ლუკას** ლევია შეიძინა. ის 20 წლისაა. ბენიტესი ამბობს, რომ ლევია უკვე მომავალ სეზონში იბრძოლებს ძირითადში მოსახვედრად.

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘ

JJA8AN3LN QJ JNQ33 **ᲡᲐᲛᲘ ᲒᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ**

3ᲐᲜ ᲓᲔᲠ ᲡᲐᲐᲠᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲛᲐᲡ ფოსტერი ან გორფონი <u>შეცვლისო</u>...

"მანჩესტერ ೧ᲣნაᲘტეᲓი" კიდევ სამ ფეხბურთელს შეიძენს. "სანის" ცნობით, ოუენ ჰარგრივსი უკვე ინგლისშია. "ბაი-ერნს" მის სანაცვლოდ 18 მილიონ გირვან-ქას მიუთვლიან. ფეხბურთელი ოთხნლიან კონტრაქტს გააფორმებს და კვირაში 60 ათასი გირვანქით გაისქელებს ჯიბეს. საყრდენი ნახევარმცველის შემდეგ, **სერ ალექს** ფერგიუსონს თავდამსხმელი, გარემარბი ფეოგიუსონს თავდათსიმელი, გარეძარიი და მცველი სჭირდება. კანდიდატები შერ- ჩეულია: ატლეტიკოელი ფერნანდო ტო- რესი, სპორტინგელი ნანი და საუთჰემპ- ტონელი გარეთ ბეილი. ტოტენჰემელი აარონ ლენონის ტრანსფერი საჩქარო არ არის. მასთან წინასწარი კონტრაქტის გა-ფორმებაც შეიძლება. ფერგი ლენონს **რაი-**

ან გიგზის შემცვლელად ამზადებს. "მირორის" ცნობით, მოსალოდნელია ცვლილება მეკარის პოზიციაზეც. ედვინ ვან დერ სარი, შეიძლება, ბენ ფოსტერმა შეცვალოს. ფოსტერმა გასული სეზონი იჯარით "უოტფორდში" გაატარა. მისი იჯარით "უოტფორდში" გაატარა. მისი გუნდი პრემიერლიგას გამოეთხოვა. ფეხ-ბურთელი კი კარიერას "იუნაიტედში" გააგრძელებს. ფერგი მიიჩნევს, რომ ვან დერ სარი "ჩელსისთან" სათასო ფინალში უხეშად შეცდა. მისი შეცდომის გამო გუნდმა გოლი გაუშვა და პრინციპული თამაში დათმო. "იუნაიტედის" მცველები დათო. იუნაიტედის იცველები მწვრთნელს ფოსტერის დაყენებას ურჩე-ვენ. მათი აზრით, ედვინი საგრძნობლად შეიცვალა "ტოტენჰემთან" თებერვლის

მატჩის მერე, როცა რობი კინს შეეჯახა და ცხვირი გაიტეხა. ის სამი კვირით ჩამოშორდა მინდორს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ოპტიმალური ფორმა ვეღარ დაიბრუნა. ვან დერ სარს "მანჩესტერთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. საეჭ ვოა, მას ხელშეკრულება გაუგრძელონ

ამ ვარაუდს ამყარებს მომდევნო ინფორმაციაც: სერ ალექსი "ჰართსისა" და შოტლანდიის ნაკრების მეკარე **კრეიგ** გორდონს აკვირდება. გორდონი 24 წლი საა. მას ეროვნულ გუნდში 14 მატჩი აქვს ჩატარებული. ედინბურგული კლუბი მეკარეს 10 მილიონ გირვანქად აფასებს. 'მირორის" მტკიცებით, კრეიგი ფოსტერის კონკურენტი იქნება. პოლონელ ტომაშ კუშჩაკს კი მესამე მეკარეობა ელის, თუ რა თქმა უნდა, ახალი სამსახური არ

და კიდევ ერთი ცნობა მანჩესტერი-დან: ფერგი "იუვენტუსის" ახალგაზრდა თავდამსხმელ **რაფაელე პალადინოსაც** ეპატიჟება. "ტუტოსპორტის" ცნობით, დღე-დღეზე "ეშმაკები" "ქალბატონს" გაუმჯობესებულ პირობებს შესთავაზებენ. პალადინო 18 წლისაა. ის იტალიის ახალ-გაზრდულ ნაკრებში თამაშობს. "იუვეს", გათ გულ იაკოებიი თამამობს. "იუვეს", რომელმაც ეს-ესაა, სერია A-ს საგზური გაინალდა, თინეიჯერის გაყიდვა არ სურს. რაფაელეს კი არაერთხელ უთქ-ვამს, რომ ინგლისელთა შეთავაზებით მოხიბლულია.



ფრენკ ლემპარდი და ჯონ ტერი

"ჩელსის" ბოსებმა **ჟოზე მოურინი**ოს აგრძნობინეს, რომ ამ სეზონში მოგებული ორი თასი საკმარისი არ არის, არადამაკმაყოფილებელია ლონდო-ნელთა თამაშის ხარისხიც და რომ მას კიდევ ერთი წელი აქვს ჩემპიონთა ლი-გის მოსაგებად. შაბათს, ასოციაციის თასის ფინალის შემდეგ, რომან აბრამოვიჩმა დაარღვია ბოლოდროინდელი

ტრადიცია და ფეხბურთელებს გასახ-დელში ესტუმრა - სხვათა შორის, პირ-ველად 2007 წელს. მაგრამ "არისტოკ-

809LO. 3M5&65d&030

മ്പാമായ്ക്ക് വിക്കുന്ന assen eschaar?

ᲛᲝᲣᲠᲘᲜᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲦᲐ ᲐᲥᲕᲡ

თნელის შეცვლა ადვილი არ აღმოჩნდა. მოურინიოს ბოლო შანსი მისცეს. მის კონტრაქტში სამი წელია დარჩენილი, თუმცა მომდევნო სეზონი გადაწყვეტს, ამონურავს თუ არა ხელშეკრულებას. მოურინიოს ალბათ ჩემპიონთა თასი გა-

პიტერ კენიონმა (აღმასრულებელი დირექტორი) აღიარა, რომ ჟოზეს აბრამოვიჩთან პრობლემები ჰქონდა: "მძიმე სეზონი იყო, ბევრი თვალსაზრისით. ახლა გვინდა ფურცელი გადავშალოთ და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ."ეს ადვილი არ იქნება. დირექტორი მწვრთნელის კომპეტენციაში ერევა და ამბობს, რომ მიხაელ ბალაკსა და ანდრეი შევჩენკოს არ გაყიდის. ამას გარდა, სამიოთხი ფეხბურთელიდან, რომელთა ტრანსფერებიც იგეგმება, არცერთი არ იქნება უმაღლესი კატეგორიის ვარსკვლავი. რაც მთავარია, ტრანსფერებში დიდი ფული არ დაიხარჯება.

მოურინიო ყველაზე მნიშვნელოვნად ჯონ ტერისა და ფრენკ ლემპარდის კონტრაქტებს თვლის: "ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ამ ვითარებას ნათელი უნდა მოეფინოს, როცა ადამიანებმა გულახდილად და მშვიდად უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. ჩვენ ვსაუბრობთ ფეხბურთე-ლებზე, ვისთვისაც "ჩელსი" სამსახურზე მეტია, ფეხბურთელებზე, რომლებსაც კლუბთან ხელშეკრულებები აკავშირებთ და რომლებმაც ბოლო სამ წელინადში ყველა ინგლისური ტიტული მოიგეს. მაგრამ მე მგონია, რომ მათ უფრო მეტის მიღწევა სურთ, თანაც "ჩელსისთან" ერ-

"არისტოკრატებს" ტერისა და ლემპარდისათვის შეთავაზებული პირობების გაუმჯობესება არ სურთ. ფრენკის აგენტმა ბრიტანეთისათვის სარეკორდო, წლიური 7 მილიონი გირვანქა იუარა. ტერის კი კვირაში 115 ათასი გირვანქა არ აკმაყოფილებს. "დეილი მირორის" მიმომხილველი ამბობს, რომ ტერის უფრო სოლიდური შეთავაზება არ აქვს. ამიტომ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ "ჩელსის" შეუთანხმდება. ლემპარდისთვის კი ასოციაციის თასის ფინალი, შეიძლება, ბოლო მატჩი აღმოჩნ-დეს ლონდონელთა შემადგენლობაში.

რატთა" უმაღლეს ეშელონებში იმედ-გაცრუებას ვერ მალავენ. მოურინიოს ორ უმთავრეს ტურნირზე მოეცარა ხელი. აპრილში მის მემკვიდრეს ინტენსიურად ეძებდნენ, მაგრამ კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრ-

空とうりかりというしょりをしると

47 PASKOPOF 3496UP 334M3733U4U 3387F5

<u>ᲞᲚᲐᲢᲘᲜᲘ: ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ,</u> **ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ**

ევროპის პროფესიული ფეხბურთი ევროკავშირის შემოტევის საფრთხის წინაშე დადგა. დიდია შანსი იმისა, რომ საფეხბურთო კანონმდებლობას რევოლუციური ცვლილებები შეეხოს. ცნო-ბილია, რომ უეფას წესები და ევროკავშირის შრომის სამართალი ძირეულ საკითხებში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბოსმანის საქმე ყველას კარგად გახსოვთ. მრავალი წლის წინ არაფრისმთქმელმა და მეორეხარისხოვანმა ბელგიელმა ფეხბურთელმა ევროპის სასამართლოში საქმე მოიგო და საკლუბო ცხოვრება თავდაყირა დააყება. მისი წყალობით მოთამაშეებს კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ სხვა გუნდებში ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის გარეშე გადასვლის შესაძლებლობა მიეცათ. ფეხბურთისთვის ეს დიდი დარტყმა იყო. მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას გადახედვა დასჭირდა.

ბევრისთვის ეს ძალიან რთული აღმოჩნდა. ახლა შესაძლოა, ახალი ბრძოლა

ორი კვირის წინ ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა **რიჩარდ ქებორნმა** გაიტს განსხვავებული მიდგომა ესაჭიროება, ვიდრე ამას ევროკავშირის შრომითი კანონმდებლობა მოითხოვს, რომელიც თავისუფალ ბაზარსა და ღია კონკურენციაზეა დამყარებული. ინგლისელი პოლიტიკოსის გამოსვლას **მიშელ პლატინი** გამოეხმარა. უეფას პრეზიდენტმა Financial Times-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა. ფრანგმა ფუნქციონერმა სწორედ იმ საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ფეხბურთს ევროკავშირიდან ემუქრება:"დიდი იმედი მაქვს, რომ ისი-ნი სპორტის სამყაროს მოუსმენენ. ძალიან მეშინია იმ ცუდი გადაწყვეტილების, რომლის მიღებასაც აპირებენ. ეს ხომ სპორტის მომავალს ძალიან ცუდ სამსახურს გაუწევს. ევროკავშირის წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ სპორტი არ არის პროდუქტი, ის ჩვენი ცხოვრების ნაწილია. თუ საპირისპიროს მტკიცებას ყებენ, შეგვეძლება ჩავთვალ რომ სპორტი გარდაიცვალა. ევროკავშირის კომისარს, რომელსაც ფეხბუს თი ცხოვრებაში არ უთამაშია, ისიც უნდა ესმოდეს, რომ არგუმენტი, თითქოს სპორტსმენი ჩვეულეპრივი მუშაკია, არ არის წონადი. არ შეიძლება დაასამარო 150-წლოვანი საფეხბურთო ფილოსოფია. ეს ხომ ერთ-ერთი საზოგადოებრივი საქმეა, რომელშიც სხვადასხვა სოციალური ფენაა ჩართული". პლატინის იმ კლუბების ინტერესების

დაცვა სურს, რომლებიც ნიჭიერ ახალ-გაზრდა ფეხბურთელებს ზრდიან. მთავარ საფრთხეს პრეზიდენტი სწორედ ამ მიმართულებით ხედავს: "თუ შენ ყველა საუკეთესო ახალგაზრდას იყიდი, სხვა



მიშელ პლატინი

გუნდს არასოდეს დაუტოვებ გამარჯვების შანსს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ევროკავშირმა სპორტის სპეციფიკა გაითვალისწინოს. ახალგაზრდა ფეხბურთელების აღმზრდელი კლუბების უფლებები დაცული უნდა იყოს.

როგორც ხვდებით, ევროკავშირს განსხვავებული შეხედულება აქვს, თუმცა კომისარი **ნილი კროსი** გვარნმუნებს, რომ ისინი სპორტს არ ებრძვი-

ან: "ჩვენ ვაცნობიერებთ, სპორტი განსაკუთრებული მოვლენაა, როგორც კულტურული, ასევე საკანონმდებლო თვალსაზრისით. სპორტის მარეგულირებელი ნორმები განსხვავებულია კორეგელი მირინები განდაკუს ელო ე ნკურენციის ჩვეულებრივი წესებისგან და ეს ასეც უნდა იყოს. ცვლილებები მხოლოდ სპორტის კომერციულ მხარეს უნდა შეეხოს, და არა უშუალოდ თამაშს.



"მივესალმეგით "შალკესა" და მთელ გელზენკირხენს. რურში "ვერცხლის სინს" ამაოდ ეძებენ, ის ჩვენთანაა და მინიმუმ ერთი წლით ჩვენთან დარჩეგა!" - ყვიროდნენ შაბათ საღამოს ქუჩებში გამოსული შტუტგარტელები. შვაბურმა ჯგუფმა "ფანტას ტიშე ფია"-მ VFB-ს სენსაციურ ჩემპიონობაზე სპონტანურად სიმღერაც კი დაწერა, რომელიც, შემდეგ, ქალაქის მთავარ მოედან შლოსპლატცზე ზუსტად 15-ჯერ შესრულდა - ნიშნად იმისა, რომ შვაბები 15წლიანი პაუზის შემდეგ გახდნენ გერმანიის ჩემპიო-ნები. სანამ "ფანტასტიშე ფია" ხსენებულ სიმღერას 15-ჯერ შეასრულებდა, მოედანზე შეკრებილი გულ-შემატკივრები (250 000) თავიანთ გმირებს ელოდებოდნენ. დიახ, 250 000! ამდენი ფანი ქუჩაში მსოფლიოს ჩემპიონატის დროსაც კი არ გამოსულა. გერ მანიის ნაკრებმა მუნდიალის მატჩი მესამე ადგილი სთვის სწორედ შტუტგარტში მოიგო, მაგრამ მაშინ შლოსპლატცემხოლოდ 150 000-მა ფანმა მოიყარა თავი. შაბათის ღამე ერთ-ერთი ყველაზე ველური იყო "მერსედესის" ქალაქის ისტორიაში. ეს იყო ნამ-დვილი Meister Nacht (საჩემპიონო ღამე), ან შვაბურად რომ ვთქვათ, Meister Naechtle.

20 საათსა და 30 წუთზე გერმანიის ჩემპიონები 10 ახალთახალი "მერსედესით" "გოტლიბ დაიმლერ შტა-დიონიდან" შლოსპლატცისკენ დაიძრნენ, მაგრამ ხალხით გადაჭედილ ქუჩებში მოძრაობა ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, სულ რაღაც 6 კილომეტრის გავლას დაახლოებით

ᲠᲔᲛᲞᲘᲝᲜ ᲨᲕᲐᲑᲗᲐ ᲐᲦᲚᲣᲛᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲨᲐᲚᲙᲔᲡ: ᲐᲛᲐᲝᲓ ᲔᲫᲔᲑᲗ, ᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜᲐᲐ...

ᲤᲝᲡᲢᲐ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘᲡᲒᲐᲜ

ട്രോ ഓക്കട്ടെ **160368 JUGAYCEGER**

VFB-ს არ ჰყავს ლიდერი, მაგრამ ერთი რამ ქტია - გუნდის ფანები მეთორმეტე მოთამაშეს წარმოადგენენ და ჩემი აზრით, ფანებმა მთავარი როლი ითამაშეს ჩემპიონობაში. პირველ რიგში, სიყვარულითა და ერთგულებით! პირველი ტურის შემდეგ გუნდი ბოლო ადგილზე იყო და მთელი სეზონის განმავლობაში ერთხელაც არ ითვლებოდა ფავორიტად. შესაბამისად, წარმატების საიდუმლო სწორედ ფანების ერთგულებაა!

მაგალითად, "ბაიერნის" ფანებმა ძალიან ჩაიქნიეს ხელი და თამაშების დროს ხელმძღვანელებს უმღეროდნენ, თქვენ მხოლოდ ჭამა და სმა შეგიძლიათო. "შალკეს" ფანებმა კრიზისულ პერიოდში დუმილი ამჯობინეს და სტადიონი სასაფლაოს დაამსგავ-სეს. "ვერდერის" ფანებმა კი ასეთი შინაარსის ტრანსფარანტები გადმოფინეს: "რიგითო 11-ო, უმჯობესია, ახლავე წახვიდე, ასე ფულს მაინც მივიღებთ!" ცხადია, მიროსლავ კლოზეს გულისხმობდნენ.

გერმანიის ჩემპიონატს ფანების გარეშე ვერავინ ვერასღროს მოიგებს! ოღონდ, ისეთი ფანებისა, რომლებიც საყვარელ გუნდს გაჭირვების დროსაც ბოლომდე მხარში უდგა-ნან. ჩემი აზრით, ბუნდესლიგა "შტუტგარტის" ფანებმა მოიგეს, რადგან ისინი არ ვარდებოდნენ პანიკაში, როცა რომელიმე შვაბის დარტყმა ძელს ხვდებოდა, ან კარს სცდებოდა. ეს "შტუტგარტი" საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გააჩემპიონონ გუნ-დი გულშემატკივრებმა!

ფრანც იოზეშ 3აგნერი,

სამნახევარი საათი რომ მოანდომეს. გზაში კი ყველაფერი ისე იყო, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე: ტაში, ფანებთან ჩახუტება, ფოტოების გადაღება. მოედანზე ჩემპიონებს ფანებთან ერთად შვაბენლანდის პრემიერმინისტრი იოტინგერი და "დაიმლერის" შეფი ცეტშე ელოდნენ და ის, ის იყო, დროის უქონლობის გამო,



ცოტათი ანერვიულდნენ, რომ 23 საათსა და 45 წუთზე საჩემპიონო კოლონაც გამოჩნდა და თითქოს შლოსპ-ლატცზე მიწა იძრა! **პილდებრანდი, გომესი** და დანარჩენები მაშინვე სცენაზე ავიდნენ, "ვერცხლის სი-

ნი" წარმოადგინეს და ცეკვა-სიმღერას მოჰყვნენ. "შტუტგარტის" გენერალური სპონსორის, კომპანია EnBW-ს ბოსი უტც კლაასენი უბედნიერესი ადამიანი გახლდათ, რასაც ამ კომენტარიდანაც მიხვდებით: "EnBW "გა ზპრომზე" წინ დადგა, ეს დაუჯე-რებელია! როცა "შტუტგარტთან" კონტრაქტს ვაფორმებდი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვაჯობებდით გუნდს, რომლის სპონსორიც "გაზპრომია". ასეა, ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს...
"ფანტასტიკაა! 35 წლის ვარ და ასეთი რამ არასდროს მინახავს!" - გაოგნებული იყო შვაბთა ვეტერანი მცველი მარკუს ბაბელი, რომელიც დღეის ამას იქეთ არმინ ფეეს თანაშემწე იქნება.
"შლოსპლატცზე" ზეიმმა 0 საათსა და 37 წუთამდე გასტანა, რის შემდეგაც ჩემპიონებმა იტალიურ რესტორან Amici-ს მიაშურეს და ზეიმი დახურულ კარს მიღმა განაგრძეს - ხსენებულ რესტორანში მხოლოდ საშვიანები დაიშვებოდნენ. ჯერ იყო ვახშაპანია EnBW-ს ბოსი უტც კლაასენი უბედნიერესი

მი, მერე კი ბაბელმა DJ-ის როლი იტვირთა და ლათი-ნური ჰანგები ააჟღერა. მართალია, "შტუტგარტის" ფეხბურთელთა დიდი ნანილი ტექნოს ან ჰიპ ჰოპს

უსმენს, მაგრამ ბაბელის თქმით, ასეთ დროსა და ასეთ კომპანიაში ტექნო ან ჰიპ ჰოპი სამარცხვინოა.
3 საათსა და 26 წუთზე ჩემპიონები სპეციალურად ამ დღისთვის გამოყვანილი პორშეებით (კაიენი დისკოთეკა "პერკინს პარკში" წაიყვანეს, სადაც აღვირახსნილი ზეიმი გაჩაღდა - შამპანური (15-ლიტ-რიანი ბოთლებით), არაყი "სმირნოფი" ულევად, რიანი ბოთლებით), არაყი "სმირხოფი" ულევად, "რედ ბული" და კონიაკი. მაგრად გამოთვრნენ და ბოლოს მხოლოდ იმის თავიღა ჰქონდათ, რომ უკანასკნელ ხმაზე ეყვირათ: "ჩვენ ჩემპიონები ვააართ!" ხუთის ნახევრიდან ჰილდებრანდმა და ჰიტცლშ-პერგერმა ქეიფი ცალკე, ტექნო-კლუბ "კლიმაქსში" გააგრძელეს. 7 საათსა და 7 წუთზე კი, დისკოთეკა ყველაზე ბოლოს სამი ხედირამ დატოვა.

შაბათს შვაბები გერმანიის თასის ფინალში "ნიურნბერგს" ხვდებიან და დუბლის შესრულება შეუძლიათ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ეს რომ მოახერხონ...

გოტფრიდ ლენცი

06&06307 C0M60C 30L0L0056

Kasen raguaa Magante ace Jeceno

ბლგისელესტე ლეოს გულია, მაგრამ გარსელონას ვერ უღალატეგს. ახალგაზრდა ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲜ...

კვერას, "ბარსელონამ" "ვისენტე კალდერონზე" საოცარი გამარჯვება მოიპოვა. კატალონიურმა გრანდმა ბოლო დროს განცდილი ნარუმატებლობებით დაგროვილი ბოღმა "ატლეტიკოზე" ამოანთხია. მოგეხსენებათ, 34-ე ტურში "ბეტისთან" ორი ქულის დაკარგვამ "ბარსა" უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. ის ფრე საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ესპანურ მედიას სპეკულაციების დიდი ტალღა აეგორებინა. პრესა ჩემპიონობას მადრიდის "რეალს" უწინასწარმეტყველებს და ამით ფრანკ რიიკაარდის გუნდის ფსიქოლოგიურ წნეხში მოქცევას უწყობს ხელს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "ბარსელონა" მართლაც დათრგუნულად გამოიყურებოდა, მაგრამ "ატლეტიკოსთან" გამარჯვების შემდეგ გუნდმა თვალებში გამოიხედა. კატალონიელი ვარსკვლავები დღეს უკვე იმედიანად გამოიყურებიან და სჯერათ, რომ უახლოეს პერიოდში ლიდერობას დაიბრუნებენ. ლიდერობის დაბრუნება კი სხვა არაფერია თუ არა, ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. სხვათა შორის, რიიკაარდის გუნდს შეუძლია, სანუკვარი ოცნება კატალონიიდან გაუსვლელად აიხდინონ. საქმე ის არის, რომ "ბარსა" დარჩენილი სამი გაუსვლელად აიხდიხოხ. საქმე ის არის, რომ "ბარსა" დარჩენილი სამი შეხვედრიდან ორს "კამპ ნოუზე" გამართავს. ერთადერთი გასვლითი პაექრობა კი "ხიმნასტიკთან" ტარაგონაში უნდა ჩაატარონ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კალენდარი მათ უმაგრებს ზურგს, თუმცა იმისთვის, რომ "ბარსელონამ" დასახული ამოცანა გადაჭრას, "რეალმა" უნდა წაიფორხილოს. სამეფო კლუბის მომდევნო სამი მონინააღმდეგე "დეპორტივო", "სარაგოსა" და "მალიორკა" არიან.

- ლეო, რას გვეტყვით საკვირაო შეხ-ვედრის შესახებ? როგორ მოახერხეთ ასეთი ტრანსფორმაცია? ერთი კვირის წინათ, "კამპ ნოუზე" "ბეტისის" წინააღმდეგ სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. ახლა კი "ბარსა" ლუციფერივით ძლიერი

გეთანხმებით, "ბეტისთან" დიდი უსიამოვნება შეგვემთხვა. რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდით, რომ ანდალუსიელებთან ორ ქულას დავკარგავდით. იმ წყეული ფრის გამო, მეორე ადგილზე გადმოვინაცვლეთ. მახსოვს, ტრიბუნებზე თეთრი ცხვირსახოცები ააფრიალეს. ჩვენთვის კი ამაზე დიდი სასჯელი არაფერია. საშინელებაა, როცა ინჩასები დაუფარავად გსაყვედურობენ. ისინი მართლები იყვნენ და რეაბილიტაციისთვის, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი გზა გვრჩე-ბოდა. "ატლეტიკოსთან" არაჩვეულებრივი მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა. თამაშის წინ ბიჭებმა ერთმანეთში გულწრფელად ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ "ბარსელონა" იმაზე გაცილებით, შეუდარებლად ძლიერია, ვიდრე ვინმეს წარმოუდ-გენია. ამიტომ, ერთმანეთს პირობა მივეცით, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოგვემჟღავნებინა. მოედანზე არნახულად მოტივირებულები, მობილიზებულები და გულანთებულები გავედით. რომ არ მოგვეგო, ალბათ, თავს მოვიკლავდით. ამის წარმოდგენაც კი არ გვიცდია. გამარჯვების გარდა, აბსოლუტურად არაფერზე ვფიქრობდით. გულშემატკივრებს ასეთი შეხვედრა დიდი ხანია სჭირდებოდათ. ხალხს დაავიწყდა, თუ რას ნარმოადგენს "ბარსელონა". ბედნიერი გახლავართ, რომ დუბლი შევასრულე და დიდი ანგარიშით გავიმარჯეეთ. მართლაც ლამაზად და შთამბეჭდავად ვითა-



ლიონელ მესი

მაშეთ. განსაკუთრებით ლამაზი რონალდინიოს გოლი გამოდგა. გაუჩომ ჩვენი გუნდის მიერ ორგანიზებული ფანტასტიკური იერიში მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

- კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ გამარჯვების მიუხედავად, პირველი ადგილი ვერ დაიბრუნეთ. "რეალი" კვლავ ლიდერია. ასე რომ, "ატლეტიკოსთან" მატჩში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, 6:0 მოიგებდით, თუ 1:0...

- როგორც ჩანს, თქვენ პროფესიული კარიერის უდიდესი ნაწილი სამეფო კლუბის ქება-დიდებას მიუძღვენით. მომიტევეთ, თუ მეტისმეტად აგრესიული და უკმეხი გეჩვენეთ, მაგრამ ამ კითხვამ საშინლად გამაღიზიანა. თქვენი პრობლემაა თუ გგონიათ, რომ ანგარიშს მნიშვნელობა არ ჰქონდა. პირადად ჩემთვის, "ატლეტიკოსთან" მიღნეული გამარჯვეგა უბრალო სამ ქულაზე გაცილებით მე-ტია. "ბარსელონამ" გაიღვიძა და ახლა მისი ყველას უნდა ეშინოდეს. დაელო-დეთ მოვლენათა შემდგომ განვითარებას და ნახავთ, როგორ დასრულდება პრიმერა დივიზიონი.

- რას უნდა ველოდოთ? - "ბარსელონის" ჩემპიონობას სხვას არაფერს (იცინის). არ გეგონოთ, ვბაქიბუქობდე. ჩვენს წარმატებაში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული.უბრალოდ, ცოტა უნდა მოვითმინოთ და ყველაფერი კარგად დასრულდება.

- მოითმინოთ, ანუ ცოტაც მოიცადოთ. საინტერესოა, რას უნდა ელო-

- "რეალის" ნაფორხილებას. შეუძლებელია, სამეფო კლუბმა დარჩენილი სამი მატჩიდან სამივე მოიგოს. ჩემი აზრით, ეს გამორიცხულია. მადრიდელები აუცილებლად დაკარგავენ ქულებს. მთავარია, "ბარსელონა" ამ ყველაფერს მომზადებული შეხვდეს და შანსი გამოიყენოს. მოკლედ, სანერვიულოს ვერაფერს ვხე-

- მაინც, რომელ შეხვედრაში დაკარგავს ქულებს სამეფო კლუბი?

- დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მადრიდის "რეალი" სამივე თამაშს ვერ მოიგებს. ხვდებით, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ჩემპიონი "ბარსა" გახდება.

- სხვათა შორის, იოლი შესაძლებელია, არგენტინის ნაკრების გამო, პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში მონა-წილეობა ვერ მიიღოთ. ხომ არ შიშობთ, რომ თვენს გარეშე დარჩენილ "ბარსელონას" ძალიან გაუჭირდება?

- არგენტინის საფეხბურთო ასოცია-ციიდან არავინ შემხმიანებია. ადრე შევთანხმდით, თუ ესპანეთის თასის ფინალ ში გავიდოდით, უფლებას მომცემდნენ, რომ "ბარსას" ღირსება დამეცვა. როგორც გითხარით, ისინი აღარ შემხმიანებიან, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩვენი შეთანხმება დივიზიონის ფინალურ დაპი-


რისპირებაზეც გავრცელდება.
- რისი თქმა გსურთ, ლეო მესისთვის
"პარსა" არგენტინის ნაკრებზე მნიშვნელოვანია?

რატომ ხართ ასეთი რადიკალური? როცა ორი გუნდის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ადამიანებმა უნდა მოილაპარაკონ და შეთანხმებას მიაღწიონ. "ბარსელონისთვის" პრიმერა დივიზიონში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნე-ლობა აქვს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ჩემს კლუბს უნდა დავეხმარო. იმედია, თანამემამულეები გამიგებენ და ნაკრებიდან დროებით გამათავისუფლებენ.

კი მაგრამ, არგენტინის ნაკრებს არ სჭირდება ლეო მესის დახმარება?

- მომიტევეთ, მაგრამ თქვენი კითხვა პროვოკაციული ხასიათისაა. არგენტი ნის ნაკრები ჩემი გულია. მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ, მაგრამ ვიმეორებ, რომ საქმე უბრალო შეთანხმებას ეხება. მჯერა და იმედი მაქვს, რომ "ალბისელესტეს" ხელმძღვანელობა რეალობას სწორად შეაფასებს. "ბარსელონას" ვჭირდები და არ შემიძლია, რომ მას არ დავეხმარო. ამ კლუბმა 13 წლის ასაკში მიმიღო, გამზარდა, დამასახლა, კოლოსალური ხელფასი დამინიშნა. ვალდებული გახლავართ, გადამწყვეტ მომენტში მასზე ვიზრუნო.

ილია ნიპოლაიშვილი



306605

JJJ6JLJ6JEN RKNBENMAIN

ᲛᲔᲰᲛᲔᲗ ᲨᲝᲚᲘᲡ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲗ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ





მეჰმეთ შოლი გუშინ და დღეს

შაბათს **მეჰმეთ შოლმა** ბუნდესლი გაში რიგით 392-ე და კარიერის უკანასკნელი მატჩი ჩაატარა. "ბაიერნისა" და 'მაინცის" მატჩს არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რის გამოც წინა პლანზე სწორედ რეკორდმაისტერის 36 წლის ნახევარმცველი დადგა. 69 000-მა გულშემატკივარმა თავიანთი კერპი ცრემლებით გააცილა, განსაკუთრებით გულისამაჩუყებელი კი ის სცენა იყო, როცა შოლი მოედნიდან გასვლის შემდეგ, თავის 10 წლის ვაჟ ლუკასს გადაეხვია. ტიროდა მთელი "ალიანს არენა", ტიროდნენ "ბაიერნის" ფეხბურთელები და ასე განსაჯეთ, ტიროდა თვით ული პიონესიც. "15 წელიწადი დიდი გუნდის სამსახურში - გმადლობ, მეჰმეთ!" - ეს მხოლოდ ერთი გრანსფარანტის შინაარსია, ერთ-ერთისა 150-ზე მეტიდან.

ვნებათაღელვამ კულმინაციას 33-ე წუთზე მიაღწია: **მარტინ დემიკელის**თან გათამაშებული ჩინებული კომბინაციის შემდეგ, ბურთი შოლს მიუვიდა, რომელმაც ტრიუმფალური სვლით გაა-ცურა "მაინცის" მცველები და 18 მეტრიდან მარცხენა დაბალ კუთხეში გაი ტანა. ეს გახლდათ რიგით 98-ე გოლი ბუნდესლიგაში (87-ე "ბაიერნის" მაისურით) და ამავე დროს, უკანასკნელი. მერე? 57-ე წუთზე მეჰმეთი შეცვალეს და გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ლეგენდად ქცეულმა ნახევარმცველმა სამუდამოდ დატოვა მინდორი. აქტიური სპორტული კარიერის 17 წლიდან, 15 რეკორდმაისტერში აქვს გატარებული და შესაბამისად, "ბაიერნის" დიდების დარბაზს ამიერიდან შოლის პორტრეტიც დაამშვენებს.

კარლ-ჰაინც რუმენიგე მას ბოლო 15 წლის ერთ-ერთ საუკეთესო გერმანელ ფეხბურთელს უწოდებს - სხვები კი მიიჩნევენ, რომ მეჰმეთ შოლი ერთ-ერ-თი ყველაზე უცნაური ფეხბურთელი იყო. მეჰმეთზე წარსულ დროში საუბარი ცოტა სახამუშოა, მაგრამ ამიერიდან მასზე, როგორც გენიალურ ფეხბურ-თელზე, მხოლოდ წარსულ დროში მოგვიწევს წერა. სხვა მხრივ კი, ვინ იცის, იქნებ დიდი მწვრთნელი გახდეს, ან დიდი ფუნქციონერი. ყოველ შემთხვევაში, ვინც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა წარმოადგენდეს, შოლი გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავად დარჩება. სახამუშოა კიდევ იმიტომ, რომ ამ 15 წლის განმავლობაში ის მუდამ საჭირო იყო, მაშინაც კი, როცა ასაკის მატებასთან ერთად გამძლეობა დაკარგა

როცა მეჰმეთი "ბაიერნში" პირველად მივიდა, მიუნხენური კლუბის თავკაცი ერის რიბეკი გახლდათ, გუნდის ლიდერები კი ლოთარ მათეუსი, ჟორჟინიო და რაიმონდ აუმანი იყვნენ. კაცს ისეთი გრძნობა დაგეუფლება, თითქოს მეჰმეთი ჯერ კიდევ პაულ ბრაიტნერისა და გერდ მიულერის დროსაც რეკორდმაისტერში თამაშობდა. ესეც არ იყოს, ახლაც 20 წლისას ჰგავს, როცა დრიბლინგს იწყებს. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის პირდაპირ ამბობდა სათქმელს და თავის აზრს ლიად გამოხატავდა. საკუთარი აზრი კი, მეჰმეთს ყოველთვის და ყველაფერზე აქვს - მისი აზრები, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულიც კია. მაგალითად, იმ დროს, როცა რეპორტიორი მორიგი თამაშის დასრულების შემდეგ

მატჩზე აზრის გამოთქმას სთხოვდა, მეჰმეთმა უპასუხა: "იმედი მაქვს, რომ მშვიდობა იქნება!" და ამ განცხადებით მხარი დაუჭირა გერმანიის მაშინდელ კანცლერ გერჰარდ შრიოდერს, რომელიც, თავის მხრივ, ერაყში ომის წინააღმდეგი იყო. თუმცა ბოლო წლებში მეჰმეთი ძალიან მშვიდი გახდა, ასე ვთქვათ, ზედმეტად მშვიდიც კი და ყურადღების ცენტრში მოხვედრა ერთხელაც არ უცდია. თუმცა ამას თავისი მიზი აქვს.

1997 წელს მეჰმეთს დედა მოუკვდა. იმავე წელს გარდაიცვალა მისი მრჩეველიც და შოლი ცოლსაც ამ წელს გაეყარა. ეს იყო ტრაგიკულზე ტრაგიკული წელნადი 26 წლის სუპერვარსკვლავისთვის, რომელიც "ბაიერნის" ქომაგების კერპად იყო ქცეული. ამას დაემატა ტრავმები და სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დაკარგა და ის წელიწადი მეჰმეთისთვის კოშმარულად დასრულ-და: შვეიცარიაში შეკრების დროს, ბაიერნელებმა ის უგონოდ მთვრალი იპოვეს, რის გამოც ბულვარულმა პრესამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

ერთნი წერდნენ, მისი მიზანი ისაა, რომ მსოფლიომ აღიაროსო, სხვები კი იმეორებდნენ, შოლი უბრალოდ ის კაცია, ვისაც ნამცხვრის ყველაზე დიდი ნაჭერი სურსო. არადა, ასეთი განწყობით მხოლოდ ის ფეხბურთელები გამოირჩევიან, რომლებსაც სიტყვები ცივი, ქედმაღალი და ხელშეუხებელი შეეფერებათ. მეჰმეთი კი არც ერთი ყოფილა ოდესმე, არც მეორე და არც მესამე. საკუთარი თავი მან მხოლოდ მაშინ იპოვა, როცა ყველასა და ყველაფერს,

რაც არ მოსწონდა, იგნორირება გაუკეთა: "არავისზე არასდროს აღარაფერს ვიტყვი!" - თქვა და დადუმდა.

გერმანიის რვაგზის ჩემპიონი, ჩემ-პიონთა ლიგის გამარჯვებული, საკონ-ტინენტთაშორისო თასის მფლობელი, უეფას თასის მფლობელი, გერმანიის თასის ხუთგზის გამარჯვებული - სულ 383 თამაში და 98 გოლი ბუნდესლიგაში. ეს მისი საკლუბო კარიერაა. შოლი იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გემანელი ფეხბურთელი, რომელსაც პოპულარობა ძალიან არ სიამოვნებდა. მაგრამ ისეთი შემთხვევა, როცა ის ვერიცნეს, მხოლოდ ერთი იყო და ამ შემთხვევას მეჰმეთი ხშირად იხსენებს ხოლმე: "ავტობუსუდან ჩამოვედი და ერთი ბავშვი დედამისს ჩემზე ეკითხება, ეს ვინ არისო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა!"

მეჰმეთ შოლი პარადოქსია იმ მხრივაც, რომ ის იმ ხალხსაც უყვარს, ვისაც "ბაიერნი" ჭირივით სძულს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ნებისმიერი გუნდის ერთგული ფეხბურთელი აბსოლუტურად ყველას მოსწონს, ვისაც კი ფეხბურთში რამე გაეგება. და მართლაც: 15 წელი აშკარად დიდი დროა ისეთი კა-ცისთვის, რომელსაც ჰიონესმა თავის დროზე "ტარზანი" უნოდა. "ბაიერნში" ბევრი ტალანტი გაფუჭებულა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამას ბევრი წინასწარმეტყველებდა, 68- კილოგრამიანი მეჰმეთი გამონაკლისი გახდა. მის ფანებს არასდროს დაავინყდებათ ის, რომ 2001 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაჭიმული კუნთით ითამაშა და ამით თავისი ჯანმრთელობა გარისკა.

შოლი გულშემატკივრებს მხოლოდ "ბაიერნის" ფორმაში წარმოედგინათ და ვერავინ იფიქრებდა, რომ მეჰმეთი მიუნხენს ოდესმე დატოვებდა. შოლის წასვლას რეკორდმაისტერის ქომაგები მაშინაც კი გამორიცხავდნენ, როცა 1995 წელს მეჰმეთს "ბაიერნის" მაშინდელ თაგკაც ოტო რეჰაგელთან ურთიერთობა დაეძაბა და "რომაში" გადასვლა სურდა. და ვერც 1998 წელს, როცა მიუნხენში შტეფან ეფენბერგი დაბრუნდა, რის გამოც მეჰმეთმა "ბარსაც" დაინტერესებული იყო და თითქოს ტრანსფერიც უპრობლემოდ უნდა შემდგარიყო, მაგრამ შოლმა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და მიუნხენში დარჩა.

მეჰმეთი ყოველთვის ამბობდა, სანამ ფეხბურთელი გუნდს გამოიცვლის, კარგად უნდა დაფიქრდესო. მიუნხენში მას მეგობრები ჰყავდა, ასევე შვილი, ყოფილი მეუღლე და მეგობარი ქალი, "ბაიერნში" კი ული ჰიონესი, რომელსაც მეჰმეთი მამობილის, **ჰერმანის** შემდეგ, კარიერისა და ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს ადამიანად ასახელებს. ახალი კონტრაქტის შესახებ ჰიონესთან მოლაპარაკებები 2 წუთზე მეტხანს არასდროს გაგრძელებულაო, იხსენებს შოლი და ერთხელ, როცა მეჰმეთი ენაჭარტალა ულის პირველსავე წინადადებაზე დათანხმდა, ჰიონესმა ხელფასი მაინც გაუზარდა. ცხადია, ულის ძალიან მოეწონა ის, რომ მისმა ერთ-ერთმა უსაყვარლესმა ფეხბურთელმა ვაჭრობა არ დაიწყო.

1996 წელს გერმანელი ქომაგები ში-შობდნენ, რომ შოლი თავისი გამონათქვამებით კარიერას გაიფუჭებდა. ევრო-პის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მეჰმეთს **რუმენიგე** ეწ-ვია და უთხრა: *"ძალიან გთხოვ, მეჰმეთ,* მოერიდე შენებურ განცხადებებს!"მეჰ-მეთის პოზიციაზე გერმანელებს მაშინ ანდი მიოლერი, თომას ჰესლერი და **მარიო ბასლერი** ჰყავდათ. ფინალში, ჩეხებთან, შოლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, მიუხედავად იმისა, რომ ოლივერ ბირჰოფით შეცვალეს, რომელმაც მერე დუბლი შეასრულა და ბუნდესგუნდს ევროპის ჩემპიონაცი მოაგებინა. მთელი ტურნირის განმავლობაში შოლს არაფერი უთქვამს, მაგრამ ფინალის შემდეგ, როცა უკვე ყველაფერი დასრულებული იყო, მეჰმეთმა თქვა, როცა **მათიას ზამერის** დამსახურებებზე საუბრობენ, ჩემი აზრით, აჭარბებენო. ამის გამო **ბერტი ფოგთს**მა შოლი ნაკრებიდან მოკვეთა.

ასეთ რამეს მეჰმეთ შოლი ალბათ, აღარასოდეს იტყვის. ოტო რეჰაგელსაც შეურიგდა და ერიხ რიბეკსაც. კატასტროფული ევრო 2000? დავიწყებულია! მთელი კარიერა მუნდიალის გარეშე? სულერთია! ფაქტი ისაა, რომ ფეხ ბურთელს, რომელსაც გიუ**ნტერ ნე**ტცერსა და ვოლფგანგ ოვერატს ადა რებდნენ, თავისუფლად შეეძლო, გაცი ლებით მეტისთვის მიეღნია. თუმცა მეჰმეთი ამბობს, რომ გული არაფერზე სწყდება. და ახლა? შესაძლოა, ცხოვრება საყვარელ მუსიკას მიუძღვნას, რომელიც ისეთივე მემარცხენე და ალ ტერნატიულია, როგორც თვითონ მეჰმეთი. დარჩება თუ არა ფეხბურთში, ეს ჯერ თვითონაც არ იცის, რადგან დაგეგმილი არაფერი აქვს. მისგან სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი.

გოტფრიდ ლენცი

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

asanasnoi

ᲠᲔᲙᲝᲒᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ

ალვარო რეკობა "ინტერიდან" წასასვლელად ემზადება. "ელ ჩინოს" თადარიგში ყურყუტი მობეზრებული აქვს. რობერტო მანჩინის მოსვლა და ურუგვაელის ძირითადიდან ამოგდება ერთი იყო. რეკობამ მაშინაც ვერ მოიგო მწვრთნელის გული, როცა წლინახევრის წინათ, "სამპდორიასთან" დრამატულ მატჩში, ბოლო წუთებზე შესულმა ორი გოლი გაიტანა და "ინტერს" 0:2 3:2-ად უქცია. მწვრთნელია და გუნება - მანჩინის რეკობა არ აინტერესებს. სამაგიეროდ, "ნერაძურის" პრეზიდენტი მასიმო მორატი მასლამის შვილად მიიჩნევს. პრეზიდენტისადმი თავად ფეხბურთელის განწყობაც მეტად თბილია. მაგრამ მოვიდა დრო, როცა "მამა" და "შვილი" ერთმანეთს უნდა დაშორდნენ. რეკობას, რომელიც "ინტერში" 1997 წელს ჩაირიცხა, გუნდის გამოცვლა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

"ვიდრე წავალ, აუცილებლად შევხვდები მასიმო მორატის. ეს ამ კვირა-შივე მოხდება. ის ერთადერთია "ინტერში", ვისაც ჩემი ესმის. მასთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე აქედან წავიდოდი. მაგრამ შანსი არ მეძლევა და სხვა გამოსავალი არ მაქვს. არადა, ვხედავ, რომ ფეხბურთის თამაში და გუნდისთვის სარგებლის მოტანა ძველებურად შემიძლია," - აცხადებს რეკობა.

იქვე, ურუგვაელი ფორვარდი ალიარებს, რომ ერთადერთი კლუბი, სადაც სიამოვნებით ითამაშებდა, "რომაა". რეკობას აზრით, იტალიაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ "ჯალოროსი" თამაშობს და აქედან

გამომდინარე, ამ გუნდის სტილთან შეგუება არ გაუჭირდება.

"მათი თითოეული მოძრაობა, პასი თუ დარტყმა, მართლაც სასიამოვნო საყურებელია. როგორ შევძლებ ტოტისთან ერთად თამაშს? მას ძალიან ბევრი გოლი გააქვს, ერთად ჩვენ უფრო მეტს გავიტანთ. მინდა, რაც
შეიძლება მეტი ვითამაშო და აქ ფული არ არის მთავარი. არასოდეს მქონია იმხელა ხელფასი, რასაც პრესაში წერენ. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს
26 წლის ვიყო. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც თამაში მინდა, საკუთარი
თავისა და მაყურებლისთვის სიამოვნების მინიჭებაა".



ალვარო რეკობა

რეკობას ყველაზე შთამბეჭდავი სეზონი 1998/99 წლებში ჰქონდა, როცა "ვენეციაში" ექვსი თვით განათხოვრებულმა 19 მატჩში 10 გოლი გაიტანა. რაც შეეხება მის მომავალ კლუბს, "რომას" მასზე პრეტენზია ჯერ ღიად არ გამოუთქვამს. ამ თემაზე არც იტალიურ პრესას დაუწერია. არ არის გამორიცხული, რეკობას პირით სწორედ "რომა" საუბრობდეს.

ᲐᲚᲛᲔᲘᲓᲐ 2011 6ᲚᲐᲛᲓᲔ


"30რდერის" ბოსებმა პორტუგალიელი თავდამსხმელის, უგო ალმეიდას უპირატესი შესყიდვის უფლება გამოიყენეს და 22 წლის ფორვარდს კონტრაქტი 2011 წლამდე გაუფორმეს. როგორც იცით, ალმეიდა ბრემენულ კლუბში ზაფხულიდან არენდის წესით თამაშობდა და იმ შემთხვევაში, თუ "მუსიკოსების" შეფებს თავს მოაწონებდა, "ვერდერს" მისი ყიდვა 3.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლო. ბრემენული გრანდის მენეჯერმა კლაუს ალოფსმა კონტრაქტის ეს პუნქტი გამოიყენა და "პორტუს" ანგარიშზე ხსენებული თანხა გადარიცხა, რითაც ალმეიდა "ვერდერის" სრულფასოვანი წევრი გახდა. "ჩვენ ამ ფებბურთელში უდიდესი პოტენციალი

"ჩვენ ამ ფეხბურთელში უდიდესი პოტენციალი დავინახეთ და მას გუნდის მომავალთან ვაიგივებთ," - განუცხადა ალოფსმა "კიკერს". ალმეიდამ ან უკვე დასრულებულ სეზონში 28 მატჩი ჩაატარა და 5 გოლის გატანა შეძლო. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში თავი ვერ გამოიჩინა, სამაგიეროდ უეფას თასზე 8 თამაშში 4 გოლის გატანა შეძლო.

ንድሉበን6ጣ ዩጋᲚሁበᲨበ?

"ტუტოსპორტის" ცნობით, "ინტერმა" ადრიანო "ჩელსის" შესთავაზა. "ნერაძურის" ბრაზილიელის უდისციპლინობა ყელში ამოუვიდა. ამიტომ მისი ლონდონში გაშვება გადაწყვიტა. იტალიელებმა იციან, რომ "ჩელსის" ათლეტური აღნაგობის თავდამსხმელი სჭირდებათ. აფრიკის ერთა თასისას დიდიე დროგბა სანაკრებო შეკრებაზე გაემგზავრება. მას თითქმის ერთი თვე გაუცდება. ამ პერიოდში ადრიანოს არისტოკრატებისათვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.





რომარ

4000 1000

ᲤᲘᲤᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲤᲝᲠᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ

ეს მოხდა! რომარიომ მე-1000 გოლი გაიტანა. ლეგენდარულ ბრაზილიელ ფორვარდს საამისოდ 23-წლიანი კარიერა დასჭირდა. ღირსშესანიშნავი ფაქტი გასულ კვირას "ვასკო და გამასა" და "რესიფეს" მატჩში მოხდა. 41 წლის რომარიომ შეხვედრის 48-ე წუთზე პენალტით შეაგდო. მის გოლს ნამ-დვილი სასწაული მოჰყვა. თამაში შეწყდა. რომარიოს ოჯახის წევრები, კერძოდ, მისი მშობლები, ცოლ-შვილი, აგრეთვე ჟურნალისტთა მთელი არმია და უამრავი უბრალო გულშემატკივარი მოედანზე შიჭრა. "ვასკოს" ლეგენდარული ფორვარდი ბრბოში შეიჭრა და საზოგადოებას სიტყვით მიმართა: "ამ გოლს იმ ადამიანებს ვუძღვნი, რომლებიც მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ. ამ ხალხში მშობლებს, მეუღლეს, შვილებსა და თქვენ, გულშემატკივრებს გგულისხმობთ. მსურს, ღმერთს მადლობა გადავუხადო. მისი დახმარების გარეშე მე არარაობა ვიქნეპოდი. მადლობა უფალო ყველაფრისთვის. ეს ისტორიული მომენტია ჩემთვის და მსოფლიო ფეხბურთისთვის. ზოგჯერ ეჭვი მიპყრობდა და ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს შევძლებდი ათასი გოლის გატანას, თუმცა ეს მოხდა. დღევანდელი დღე ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს კარიერაში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას."

სახელდახელო საზეიმო ღონისძიებამ 15 წუთს გასტანა. ამის შემდეგ რომარიო მოედანს დაუბრუნდა და "რესიფეს" დამარცხების გაფორმებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. "ვასკო და გამამ" 3:1 გაიმარჯვა, რომარიომ 11 აპრილის შემდეგ პირველად იასპარეზა. მაშინ მისმა გუნდმა "ბოტაფოგოსთან" პენალტების სერიაში ნააგო და რიოს შტატის ჩემპიონატს გამოეთიშა. როგორც ხედავთ, თითქმის თვენახევრიანი პაუზის შემდეგ რომარიომ დიდი ხნის ოცხება აისრულა. სამართლიახობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ექსპერტთა დიდი ნაწილი ვეტერანი ფორვარდის მიღწევას ეჭვქვეშ აყენებს. მათი მტკიცებით, რომარიომ 71 გოლი მაშინ გაიტანა, როცა თინეიჯერი და მოყვარული მოთამაშე გახლდათ. მათი თქმით, ფეხბურთელმა ამ ათას გოლში ის ბურთებიც შეიტანა, რომლებიც მან უსახელო კლუბებთან არაოფიციალურ ამხანაგურ შეხვედრებსა და ვარჯიშებზე შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ რომარიოს მაჩვენებელს არც ფიფა აღიარებს. უმაღლესი საფეხბურთო ორგანო სათვალავში მხოლოდ ოფიციალურ მატჩებში გატანილ გოლებს აგდებს. ასე რომ, თუ რომარიოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული რეკორდი სურს, შრომა უნდა გააგრძელოს და ნამდვილი ათასი ბურთი შეაგდოს.

ᲘᲜᲢᲔᲠ3ᲘᲣᲚᲔᲝ ᲑᲔᲔᲜᲰᲐᲙᲔᲠᲗᲐᲜ

audu auararu rauk audu auararu rauk

ლერ გეენჰბპერს წარდგენა არ სჭირდება: ცნობილი მწვრთნელი, რომელსაც მთელ მსოფლიოში უმუშავია, ადამიანი, რომელიც ექვს ენაზე საუბრობს. სხვადასხვა დროს, ის წვრთნიდა ისეთ ცნობილ გუნდებს, როგორებიც იყვნენ ფეიენოორდი" (ლეოს ხელმძღვანელობით ერთხელ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი), "აიაქსი" (ქვეყნის ორგზის ჩემპიონი), "რეალი" (ესპანეთის სამგზის ჩემპიონი). გარდა ამისა, ბეენჰაკერი მუშაობდა ესპანეთის "სარაგოსაში", შვეიცარიის "გრასჰოპერსში", მექსიკის "გვადალახარასა" და "ამერიკაში", თურქეთის "ისთანბულსფორში"… შუალედებში, ის მეტ-ნაკლები წარმატებით მოღვაწეობდა მშობლიური ჰოლანდიის, საუდის არაბეთისა და ტრინიდადის ნაკრებებში. ამ უკანასკნელმა, ყველას გასაკვირად საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა და შარშან, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც შვედეთის ნაკრებთან ფრეს გამოჰკრა ხელი გასულ წელს, ლეო ბეენჰაკერმა ახალი გამოწვევა მიიღო - პოლონეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, რომელმაც შესანიშნავი სტარტი აიღო ევრო 2008-ის შესარჩევ ტურნირში, მოუგო ძირითად კონკურენტ - პორტუგალიას და ამჟამად, პირველ შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილს იკავებს. ცოტა ხნის წინათ, ბეენჰაკერმა სამწვრთნელო მუშაობის 40 წლისთავი იზეიმა.

- თქვენ იმ ასაკში ხართ, როცა ადამიანები უკვე დამსახურებულ პენსიაზე ფიქრობენ. რა გაიძულებთ მწვრთნელობის გაგრძელებას?

- მთლიანად ფეხბურთი. ვაგრძელებ მუშაობას მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი საქმე მიყვარს. სანამ ძალა და განწყობა მაქვს, ამ პროფესიას თავს არ დავანებებ. იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, რომლებზეც ამბობენ - მისი ნამდვილი ასაკი არ ემთხვევა იმ წლოვანებას, რასაც მის სახეზე ამოიკითხავთო. დოკუმენტების მიხედვით, უკვე 64 წლის ვარ, მაგრამ ასაკს ვერ ვგრძნობ. გარდა ამისა, დღემდე სიგიჟემდე მიყვარს ფეხბურთი. სწორედ ეს მაიძულებს მუშაობას.

- რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც პოლონე-

- იმიტომ, რომ ადგილობრივ ფეხბურთს უმდიდრესი ისტორია აქვს. ავიღოთ თუნდაც მსოფლიო ჩემპიონატები და ოლიმპიური თამაშები, სადაც პოლონელებმა 1972 წელს, ოქროს მედლები აიღეს. როცა მათ წინადადებაზე ვფიქრობდი, დავინახე, რომ იმ ქვეყანაში მომიწევდა მუშაობა, სადაც უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელია და ამასთან, იქაურებმა ზუსტად იციან, რისი მიღწევა სურთ. ასე რომ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან პოლონურ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს.

- თქვენ ხართ პირველი უცხოელი სპეციალისტი, ვინც პოლონეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს. როგორ მოხდა ეს?

- ზუსტად ისე, როგორც ეს შეიძლება ესპანეთში მოხდეს - უბრალოდ მოვა მწვრთნელი საზღვარგარეთიდან, რომელსაც ნაკრების გაწვრთნას დაავალებენ. და საერთოდ, სისულელეა ეს ყველაფერი. 2007 წელია, საზღვრები აღარ არსებობს. არიან მხოლოდ მწვრთნელები და მოთამაშეები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მუშაობენ - იქ, სადაც მათ მოესურვებათ. ავილოთ მაგალითად, ინგლისური კლუბები, რომლებშიც 11-ივე ფეხბურთელი - ლეგიონერია. ამის შემდეგ, ღირს საერთოდ ამ თემაზე საუბარი?! რა თქმა უნდა, თავიდან მქონდა პატარა სირთულეები. მაგრამ მე ყოველთვის კონცენტრირებული ვიყავი ჩემს სამუშაოზე, მოთამაშეებზე, ფეხბურთზე. ეს არის ყველაფერი, რაც მაინტერესებს.

- მსოფლიო ჩემპიონატზე პოლონეთის ნაკრების გამოსვლა სრული ფიასკოთი დასრულდა. მაგრამ უკვე ოთხი თვის შემდეგ, თქვენ შეძელით გულშემატკივრებში იმედი გაგეღვიძებინათ. რაიმე განსაკუთრებულ საიდუმლოს

ფლოთი:
- არანაირი საიდუმლო არ არსებობს. უბრალოდ, ცხოვრება მუდმივად იცვლება და ჩვენი სამუშაო უფრო და უფრო რთული ხდება. ერთი
მხრივ, პროფესიონალი მწვრთნელი უნდა იყო ანუ უნდა ერკვეოდე მატჩისთვის მომზადების
წვრილმანებში, ტექნიკაში, ტაქტიკაში. მაგრამ ეს
მხოლოდ საქმის ნახევარია. მეორე ნაწილი, რომელიც შეიძლება პირველზე მნიშვნელოვანია - ეს
არის ადამიანებთან, მოთამაშეებთან ურთიერთობის უნარი, მათი ხასიათისა და პიროვნების გათვალისწინებით. კარგი მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს.

- არსებობს წესი, რომელიც ყოველთვის კარგ შედეგს იძლევა - როცა ტალანტებს ეძებენ, მნიშვნელობას არ ანიჭებენ მათ გვარებს, ასაკ-

სა და დამსახურებებს. ეს წესი თქვენს მუშაობაშიც გამოიყენება?

- რა თქმა უნდა. ჩვენ გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ. პოლონეთში დიდხანს მიმტკიცებდნენ, რომ მათი დონე არ შეესაბამება ნაკრების მოთხოვნებს, მათ არ ჰყოფნით ნიჭი, რომ ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან. ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდა, რომ ეს ბიჭები - ზუსტად ის მოთამაშეები არიან, რომელიც გუნდს სჭირდება. და ჩვენ იმ კრიტიკოსებს გაჩუმება ვაი-

- ამ ტიპურმა ჰოლანდიურმა მიდგომამ, თავის დროზე "აიაქსში" ვიღაც ფრანკ რაიკაარდი აღმოგაჩენინათ. როგორ შეაფასებდით მის წარმატებებს სამწვრთნელო ასპარეზზე?

- ფრანკი - ნამდვილი ფენომენია. მე მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ვამაყობ იმით, რასაც "ბარსელონაში" აკეთებს. ის უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო, როცა ჩემი ხელმძღვანელობით, 17 წლის ასაკში დიდ ფეხბურთში ჰქონდა დებიუტი. მას ყოველთვის ახასიათებდა მოედნის კარგი ხედვა და სრულიადაც არ გამკვირვებია, როცა მწვრთნელობა მოინდომა და ერთი მეორის მიყოლებით მიაღწია წარმატებებს. თანაც, ისეთ კლუბში მუშაობა, როგორიც "ბარსელონაა", ძალიან რთულია. მაგრამ ის შესანიშნავად ართმევს ამას თავს.

- არსებობს თუ არა ფეხბურთში რაიმე პრიზი, რომლის მოპოვებაზეც დღემდე ოცნეპობთ?

 - არა. მირჩევნია ჩემი სამუშაოს ყოველი დღით დავტკბე და ჩემს ბიჭებს რაიმე ახალი ვასწავლო. ჩემთვის, ეს არის ყველაზე საუკეთესო, რაც შეიძლება ცხოვრებაში მოხდეს.

- გამოდის, იმედგაცრუებული არ ხართ იმის გამო, რომ თქვენს კარიერაში არცერთი ევროპული საკლუბო ტიტული არ მოიპოვება?

- 10 თუ 11 ტიტული მოვიგე "აიაქსთან", "რეალთან" და "ფეიენოორდთან" ერთად. მოგვიანებით, ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ვიმუშავე. ჩემი ცხოვრება საკმაოდ დატვირთული იყო და ამიტომაც, საწუნუნო არაფერი მაქვს.

- ალბათ, საქმის კურსში იქნებით იმ კრიზისის შესახებ, რომელიც ამ სეზონის მსვლელობისას მადრიდის "რეალს" ჰქონდა?

- გარედან მსჯელობა ყოველთვის რთულია, მაგრამ ჩემი აზრით, ბოლო წლების საკლუბო პოლიტიკა გადამეტებულ ყურადღებას აქცევდა მარკეტინგს. შესაძლოა, ფინანსური მოგების მხრივ, ეს წარმატებული აქცია იყო. მაგრამ სპორტული შედეგების მხრივ, კლუბმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა. დღევანდელი პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი სულ სხვა გზით მიდიან, მაგრამ გულშემატკიფრებმა უნდა გაიგონ: დროა საჭირო იმისთვის, რომ ყველაფერი დალაგდეს. მე მესმის: მადრიდელ გულშემატკივართა უმრავლესობა მიჩვეულია, რომ მათი საყვარელი გუნდი თანაბრად თამაშობს ევროპული გრანდების წინააღმდეგ. და ისინი მართლები არიან, როცა სურთ, რომ "რეალმა" ქვეყნისა და კონტინენტის მთავარი ტიტულები მოიპოვოს. მაგრამ, ნებისმიერი კლუბის

ისტორიაში არსებობს ისეთი მომენტები, როცა ბევრი რამ იცვლება. სწორედ ასეთი მომენტი უდგას ახლა "რეალს".

- თქვენი აზრით, კაპელო ის ადამიანია, რომელიც ამ განახლებას ჩაუდგება სათავეში?

- ფაბიოს ძალიან კარგად ვიცნობ და ვფიქრობ, ის სავსებით შეეფერება ამ როლს. დარწმუნებული აარ, ააპილო ყველა პრობლემას გაუმ ალადება.

ვარ, კაპელო ყველა პრობლემას გაუმკლავდება.
- "რეალთან" ერთად ზედიზედ სამჯერ მოიგეთ ესპანეთის ჩემპიონატი. რა არის საჭირო ამ დიდი კლუბის ტრიუმფატორთა რიგებში დასაბრუნებლად?

- სწორი გადაწყვეტილებების მიღება. პირველი ნაბიჯი - გუნდის რიგების წმენდა უკვე დასრულებულია. ამის შემდეგ უნდა მონახონ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც "რეალის" საკადრის დო-ნეზე ითამაშებენ.

- ეს როგორ?


- თავის დროზე, მე ძალიან გამიმართლა, რადგან ჩემს გუნდში იყო ორი-სამი ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ნებისმიერ სიტუაციაში ვენდობოდი. ხოლო გუნდის კაპიტანი - კამაჩო, ჩემი საუკეთესო მოკავშირე და მრჩეველი გახლდათ. მასთან არასოდეს შემქმნია პრობლემა. თუ რაიმე არ ეწყობოდა, ხოსე უბრალოდ მეუბნებოდა, რომ უნდა განგვეხილა ესა და ეს საკითხი. ჩვენ ერთად ვეძებდით გამოსავალს, ვპოულობდით მას და ცხოვრებაშიც ვახორციელებდით. საერთოდ, გუნდში ისეთი ფეხბურთელების ყოლა, როგორებიც არიან მიჩელი, გალიეგო, უგო სანჩესი, შუსტერი ან სანტილიანა, უდიდესი ბედნიერება იყო - მათ კოლექტივში წესრიგი და სიმშვიდე შეჰქონდათ. გუნდში ყველამ იცოდა თავისი ადგილი.

- მადრიდში ბეენჰაკერის მუშაობის მეთოდებს, დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლიან. თქვენზე პოლონეთშიც იმავეს ამბობენ. რა არის ამ მეთოდებში ჩადებული ისეთი, რომ ისინი დღემდე არ კარგავენ აქტუალურობას?

- უბრალოდ, საჭიროა უყურო რაც შეიძლება მეგ საფეხბურთო მატჩს და ყურადღებით გააკეთო მათი ანალიზი. სპღრტის ეს სახეობა მუდმივად ვითარდება: 10 წლის წინ, ის სულ სხვანაირი იყო. ამიტომაც, მის განვითარებას ყურადღებით უნდა ადევნო თვალი. როცა მე ვუყურებ "ჩელსის", მინდა გავიგო – რატომ ითვლება ის დიდ გუნდად, როგორ არის ის ორგანიზებული, როგორ თამაშობს, რას წარმოადგენს მისი ტაქტიკა? ყოველ წელს უნდა განაახლო და გაფახედო შენს მეთოდებს, იმას თუ როგორ ურთიერთობ მოთამაშეებთან, როგორ ამზადებ მათ. ამაში არანაირი საიდუმლო არ არსებობს - ეს ნებისმიერი პროფესიონალი მწვრთნელის ვალდებულებაა.

- 40-წლიანი კარიერის მანძილზე, რომელ გუნდს თვლით უძლიერესად იმ კოლექტივებიდან, რომლებთანაც მუშაობა მოგიწიათ?

- რა თქმა უნდა, "რეალი". ჩვენ ფანტასტიკური გუნდი გვყავდა - მიჩელი, გალიეგო, შუსტერი, გორდილიო, უგო სანჩესი, კამაჩო, ბუტრაგენიო და კომპანია. ისინი განუმეორებელი ფეხბურთელები იყვნენ. უკვე 40 წელია ვმუშაობ, მაგრამ როცა უკან ვიყურები, ეჭვი არ მეპარება, რომ მათთან მუშაობა ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად ითვლება.



ლეო ბეენჰაკერი





LJJJAOJZMU JAMZGJEN MENJJAK JManajan bykamangajem

ommostall ommostall BOBEROMON)

NEGASGE

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

SJAN. MAN 3M3J3J



რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში ქალთა ჭადრაკის ისტორიაში პირველად იმართება გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. თუკი სხვა სახეობებთან გავავლებთ პარალელს, ფინალური ეტაპისთვის გუნდების შერჩევის ნესში მსგავსებას ვერ იპოვით, მაგრამ ამით არსი არ იცვლება - მთავარია, იდეას ფრთები შეესხა. პირველ ჯერზე ორგანიზატორებმა მარტივი წესი არჩიეს რეიტინგებით და საკუთარი შეხედულებებისამებრ დაპატიჟეს ამა თუ იმ ქვეყნის გუნდები. ასეთი არჩევნით ციმბირის სწრაფადგანვითარებად და ინდუსტრიულ ქალაქში თავი შემდეგი ქვეყნის ნაკრებებმა მოიყარეს: რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, პოლონეთი, სა-ქართველო, ჩეხეთი, სომხეთი, უკრაინა, ვიეტნამი და ბოტსვანა.

19 მაისს გახსნის ცერემონიალი შედგა, 20-ში კი პირველი ტური გათა-მაშდა და საქართველოს ნაკრებს ჩეხეთის არცთუ ძლიერი, მაგრამ საკმაოდ კერკეტი გუნდი ერგო. შეგახსენებთ, წელს ქართველთა ნაკრები გვარიანად შეცვლილია, - გუნდში ორი დებიუტან-ტია და როცა ოთხ დაფაზე იმართება ბრძოლა, რისკიც იმატებს...

პირველ დაფაზე უბერებელმა მაია ჩიბურდანიძემ უპირველესი ჩეხი მოჭადრაკე იანა იაცკოვა თეთრებით იოლად დაამარცხა; მეორეზე უკვე მრავალნაცადმა და სანდო ლელა ჯავახიშვილმა შავებით მოუთავა ხელი ოლგა სიკაროვას. მესამე დაფაზე სოფიკო ხუხაშვილმა თეთრებით პეტრა ბლაზკოვასთან დაზავება არჩია - ამით საერთო გამარჯვებას იბევებდა ქართული გუნდი, თუმცა მოგებულ პარტიათა მარაგს გარკვეული და არცთუ უკანასკ-ნელი მნიშვნელობა აქვს და მეოთხე და-ფაზე მოთამაშე სოფიკო გვეტაძისთვის პარტიის მოგება ბევრად სასურველი იყო... არცთუ შორს იყო გვეტაძე ნაკრებში სადებიუტო პარტიის მოგე-. არცთუ შორს იყო გვეტაძე ბისგან, მაგრამ უცნაურ ვითარებაში დათმო უპირატესობა და სიხარულის ნაცვლად წაგების სიმწარე შეხვდა...

საბედნიეროდ, საერთო ანგარიში ქართველთავის მისაღები აღმოჩნდა -2.5:1.5 ვიმარჯვეთ და ცხრილში მოგებისთვის განკუთვნილი 2 ქულა ჩავიწე-რეთ. სხვათა შორის, ფრისთვის 1 ქულა ეწერება გუნდს, წაგებისთვის კი - ნული. დიახ, მთავარი მატჩის მოგებაა, მაგრამ თუკი თანაბარი ქულებით დაამთავრებს რამდენიმე გუნდი ჩემპიონატს, მაშინ კი მიიღება მხედველობაში ყველა მატჩში მოგროვილი ქულების

საქართველოს ნაკრებმა მეორე ტურში სრულად მიიღო დივიდენდები და ბოტსვანას ნაკრები უპირობოდ, 4:0 დაამარცხა (გაიმარჯვეს ჯავახიშვილმა, **ნინო ხურციძემ**, ხუხაშვილმა და გვეტაძემ). თუმცა, თუკი ამ შედეგს ვე-

ლოდით, ვერაფრით წარმოვიდგენდით რუსთა ასეთივე მარცხს - მართალია მასპინძლებმა ჩინეთთან გამოაცხადეს კაპიტულაცია, მაგრამ მაინც - ასეთი ფიასკო ყოვლად ნარმოუდგენელი იყო ჭადრაკის ნებისმიერი გურმანისთვის. ჩინელთა ნარმატებას ისიც ამაღლებს, რომ შემადგენლობის უმეტესობა ძალზედ ახალგაზრდაა, განსხვავებით რუსეთის ნაკრებისგან, რომლის შემადგენლობაში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა, მისი და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოქადრაკე ნადეჟდა კოსინცევა, რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი ეკატერინა კორბუტი და ნიჭიერი ახალგარდა ელენა ტაიროვა თამაშობდნენ. ესეც ჩინეთის გუნდი: ჭაო სიუე, ჰოუ იფანი, რუან ლუფეი, ციან ჰვანგი.

დღეს მესამე ტურია და შესაძლოა, ლიდერთა ოთხგუნდიან პელოტონში უძლიერესის გამორკვევის დროც დადგეს, თუმცა მთავარ ამბებს მაინც მომდევნო ტურებიდან უნდა ველოდოთ...

ზვიად შათირიშვილი

პირველი ტური: ჩინეთი-ვიეტნამი 3.5:0.5; რუსეთი-გერმანია 3:1; პოლონეთი-ბოტსვანა 4:0; საქართველო-ჩეხეთი 2.5:1.5;

თოდევანა ადე დაეართველო-იედები 2.0:1.0; უკრაინა-სომხეთი 3:1. მ0/რე ტური: ვიეტნამი-სომხეთი 2.5:1.5; ჩეხეთი-უკრაინა 1:3; ბოტსვანა-საქართვე-ლო 0:4; გერმანია-პოლონეთი 1:3; ჩინეთი-რუსეთი 4:0.

<u>ორი ტურის შემ</u>დეგ: 1. ჩინეთი-4 (7.5); 2. ორი ტურის მემდებ: 1. ჩინეთი-4 (7.5); 2. პოლონეთი-4 (7); 3. საქართველო-4 (6.5); 4. უკრაინა-4 (6); 5. რუსეთი-2 (3); 6. ვიეტნამი-2 (3); 7. ჩეხეთი-0 (2.5); 8. სომხეთი-0 (2.5); 9. გერმანია-0 (2); 10. ბოტსვანა-0 (0). მესამე ტურმი რუსეთი-ვიეტნამი; პოლონეთი-ჩინეთი; საქართველო-გერმანია; უკრაინა-ბოტსვანა; სომხეთი-ჩეხეთი.



nooon



კლერმონი ზეიმობს. მარჯვნივ გოდერძი შველიძე

ლാരന്നെടാകാരന

みりべりょうりょうしんしん JJKMBNBJEN

ხაზელები გოდერძი შველიძე და დავით ზირაქაშვილი რანგით მეორე ევროპული თასის, ჩელენჯ კაპის მფლო-ბელები არიან. "კლერმონმა" ლონდონ-ში, "თვიქნემზე" ფინალში ინგლისური "ბასი" დაამარცხა - 22:16.

სამწუხაროდ, ზირაქაშვილს ტრავ-მის გამო არ უთამაშია. ის ვარჯიშს მომავალი კვირიდან შეუდგება. სამაგიეროდ ზეიმის სრულუფლებიანი მონაწილე იყო გოდერძი შველიძე, რომელიც თამაშში არგენტინელი მარტინ სკელ-ცოს ნაცვლად 68-ე წუთიდან ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ ჩელენჯ კაპი პირველი ტიტულია საფრანგეთის ქართული ლეგიონისთვის.

მომავალ უქმეებზე "კლერმონი" რე-გულარული გათამაშების ბოლო შეხ-ვედრას გამართავს საფრანგეთის ჩემპიონატში. მერე კი პლეი ოფში ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

გაირკვა პლეი ოფის ფინალისტთა ვინაობა მეორე დივიზიონში. სამწუხაროდ, ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი დამარცხდა და პირველ დივიზიონში გადასვლაზე ოცნებას დაემშვი-

გია ლაბაძისა და გიორგი კუთა-რაშვილის "ტულონმა" წააგო სტუმრად "ლა როშელთან" 17:21. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, კუთარაშვილი განაცხადში არ იყო. სტუმრად "დაქსთან" დამარცხდა

ირაკლი მაჩხანელის "ბეზიე" 6:18. მაჩხანელი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს. საქართ-ველოს ნაკრების გარემარბი მომავალ სეზონს ალბათ ლანგედოკელთა რიგებ-ში აღარ გაატარებს. მას მეორე დივიზი-ონის "ტარბიდან" გაცილებით ხელსაყრელი წინადადება შესთავაზეს, რაზეც მაჩხანელი ალბათ დაჰყაბულდება.

საკმაოდ არახელსაყრელ პოზიციასაკმაოდ არახელსაყრელ ძოზიცია-ში აღმოჩნდნენ ფედერალ 1-ის მე-ოთხედფინალის პირველი მატჩეპის შემდეგ "ექსი" და "პერიგო". დავით გასვიანის "ექსი" სტუმრად დამარცხ-და "ნიმთან" 25:41. ვანო ნადირაძისა და თედო ზიბზიბაძის "პერიგო" კი ში ნაურ კედლებში ფრეს დასჯერდა "ლა-ნამეზანთან" 22:22. საპასუხო შეხვედრები ამ უქმეებზე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ მეორე დივიზიონის საგზურს ორი ფინალისტი მოიპოვებს.

ფედერალ 2-ში მეოთხედფინალ დან გამოეთიშნენ პლეი ოფს **თემურ სოხაძის** "ბასტია" და **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი". "ბასტიამ" ვერაფერი გააწყო "ვენდრესთან" 12:15. პონტუაზელებმა კი "ტურთან" ნააგეს 6:10. "ბასტიამ" ფედერალ 1-ის საგზური ვერ მოიპოვა, "სერჟი პონტუაზმა" კი როგორც რეგულარულ გათა-მაშებაში პირველ ადგილზე გასულმა, ზედა დივიზიონის საგზური ავტომაგურად მიიღო.

ბესიკ 3<3685335ძე

LJ3JARM RJ LJ3JNLM, 3JMOHJR RJ RNRN MOHJJRNO

ქუთაისის საჭადრაკო კლუბმა "მაიამ" წელს მეოთხედ უმასპინძლა საჭად-რაკო ტურნირს - "სავარდო და სამაისო". როგორც წესი, ქუთაისში უძლიერესი ქართველი მოჭადრაკეები იყრიან ხოლმე თავს და ორდღიან ტურნირში ცდიან ძალებს.

წელს ორგანზიატორებმა საპრიზო ფონდისთვის 5000 ლარი მოიძიეს, რაშიც დიდი დახმარება გასწია ქალაქის მერიამ და სამედიცინო ცენტრმა. სპონსორთა რაოდენობაც შთამბეჭდავი იყო.

ამჯერად "დიდი ოთხეული" - ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე და ნინო გურიელი ეწვია ქალაქს. ალექსანდრიას გარდა ყველამ ითამაშა, თუმცა განსხვავებული წესით - ოთხთა ტურნირი მოეწყო, სადაც მეოთხე წევრად 13 წლის ნიჭიერი სამტრედიელი გოგონა მერი არაბიძე შეემატათ. პირველ დღეს ორ-ორი 15 წუთიანი პარტიები ითამაშეს და მოლოდინისამებრ ჩიბურდანიძე დანინაურდა, მაგრამ მეორე დილით მაიას სასწრა-

ფოდ, დაუგეგმავად მოუხდა თბილისში დაბრუნება, ამიტომ ოთხთა ტურნირი ველარ გაგრძელდა. მინი-მატჩში გაეჯიბრენ ერთმანეთს არაბიძე და გაფრინდაშვილი, გურიელმა კი დამწყებ მოჭადრაკეებთან ერთობლივი თამაში სეანსი გამართა. არაბიძე-გაფრინდაშვილს შორის გამრაჯვებული მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა - 3:1

ძირითადი ტურნირის გათამაშების წესი შვეიცარიული იყო - წრიული სისტემა 9 ტურად. სათამაშო დრო 15 ნუთი, ყოველ სვლაზე ხუთი წამის დამატე-

გამარჯვებული კონსტანტინე შანავა გახდა 7 ქულით, რომელსაც მიხეილ მჭედლიშვილსა და თორნიკე სანიკიძეზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა; მეორე მჭედლიშვილი იყო, მესამე - სანიკიძე. საპრიზო არეალში მეოთხე და მეხუთეადგილოსნებიც მოხვდნენ - მეოთხეზე დავით არუთინიანი გავიდა, მეხუთეზე - შოთა აზალაძე, ორივეს 6,5 ქულა ჰქონდათ.

ვაჟებთან ერთად ქალბატონებიც ირ ჯებოდნენ და მათთვის ცალკეც ითვლებოდა ქულები. 6 ქულით ქალებში **სოფი**კო ნიკოლაძემ იმარჯვა, რომელიც ქუთაისელია და კლუბთან ახლოს მყოფი მე-15-ე საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. როგორც ჩანს, ხუთი შვილის დედას მშობლიურ გარემოში მოხვედ-რამ არგო. მეორე ადგილზე ექვსი ქულით ასევე ქუთაისელი ნანა ძაგნიძე გავიდა, მესამეზე 5,5 ქულით წარმოშობით სამტრედიელი სოფიკო ტერელაძეა.

დაწესებული იყო ასაკობრივი პრიზებიც. 10 წლამდე გოგონებში **მარი ჭო**ლაძემ გაიმარჯვა 4 ქულით, ბიჭებში ვახო ჩაჩხიანმა - ასევე ოთხი ქულით. 12 წლამდელ გოგონებში ანა შამათავამ მოიგო, ბიჭებში - ტატო ქოჩაკიძემ ორივეს 4 ქულა ჰქონდა. 14 წლამდე ბიჭებში - 1 ადგილი 5 ქულით ზურაბ ჯავახაძემ დაიკავა, გოგონებში მარიამ თევზაძემ - ასევე 5 ქულიანი მარაგით.

პრიზიორები უხვად დააჯილდოვეს, მათ შორის ნანა ალექსანდრიას საჭად-



კონსტანტინე შანავა

რაკო წიგნებით, რომელიც თავად ავგორმა გადასცა მათ. ქალბაგონ ნანას მართალია ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ქუთაისის სამედიცინო ცენტრში გამართა სეანსი და ყველა პარტიაში იმარჯვა, მათ შორის ცენტრის ხელმძღვანელ კახა ნურალიძეს-

თან. ბატონი კახა ჭადრაკის დიდი მოყ ვარული ყოფილა და ბავშვობაში რამდენიმე წელი პროფესიულ დონეზე ეუფლებოდა ჭადრაკს. დახურვაზე მან იხუმრა: დღეს 50 ათასი ლარი წავაგე პირობის თანახმად, თუ ქალბატონი ნანა მომიგებდა ქუთაისის საჭადრაკო კლუბ "მაიასთვის" რემონტისა და განახლება-გაფართოებისვის ამდენი თანხა უნდა გადამერიცხა. სამნუხაროდ, ნავაგე და პირობა ასასრულებელი მაქვსო.

ერთ დღეში "წაგებულმა" 50 ათასმა ლარმა ქალაქის მერი **ნიკო კაჭკაჭიშ**ვილი ოდნავ კი დააფრთხო - ასე შეიძლება გაგვაკოტროს ჭადრაკმაო, მაგრამ თანადგომა კვლავ გამოუცხადა ორგანიზატორებს. არსებობს სურვილი, ტურნირი საერთაშორისო მასშგაბის გახდეს და ქუთაისში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოჭადრაკეები ჩამოვიდნენ. იდეა ყველამ მოინონა, ვნახოთ, როგორ შეესხმება ხორცი.

ზვიად შათირიშვილი





LJJJAM395ML JAM3675N MENBINTAN OPECCUAC

THE THE TENERAL A RECENEUT

amaásann

60663627

ATP-Nusbsლი რეიტინგის მიხედვით, 26 წლის ირაკლი ლაბაძე მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა მეორე ასეულიდანაც გავარდა. ირაკლიმ კიდევ ერთი საფეხური დათმო და 202 ქულით კლასიფიკაციაში 201-ე პოზიციაზე გადავიდა. **ლადო ჩიხლაძეს** კვლავ 60 ქულა აქვს, მან ერთ კვირაში სამი ადგილი დათმო და ახლა მსოფლიოს 469-ე ჩოგანია. **ნოდარ ითონიშვილი** 2 ქალით სიაში. სიმპოლურადაა, 1341-ე ადგილზე (-11).

გამოქვეყნდა WTA-ს რეიტინგიც, ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახ**ნაშვილმა საფრანგეთში ცუდად იასპარეზა (პირველივე წრეში დამარცხდა), რის გამოც ის ორი ადგილით დაქვეითდა, მაკას დღეს 202 ქულა აქვს და მსოფლიოს 152-ე ჩოგანია. გასულ კვი-რაში უქმობდა 17 წლის ანა ტატიშვილი, მან 4 პოზიცია დათმო და მსოფლიოს 322-ე ჩოგანია 68 ქულით. სხვა ქარ-თველები: 539 (-1) სალომე დევიძე, 563 (-3) სოფიო მელიქიშვილი, 716 (-10) სოფიო შაფათავა, 744 (+93) მანანა შაფაქიძე, 773 (-6) ოქსანა კალაშნიკოვა, 789 (-9) ეკა გორგოძე, 1085 (+4) სო-ფიო ქვაცაბაია, 1237 (+34) თეონა ცერცვაძე და 1304 (+4) მარიამ ქურდაძე. მანანა შაფაქიძეს ორი კვირის წინათ თურქეთში წარმატებული გამოსვლისთვის კუთვნილი ქულები დაერიცხა, რის გამოც თითქმის ასი საფე-ხურით წაიწია წინ.



879UBBUCU ባለጠመንፎ uecare

17 წლის **ანა ტატიშვილმა** შეძლო სტამბოლის (WTA ტური) 200-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა. ამისთვის მან სამი მეტოქე ჩამოიცილა, გუშინ თურქულ თიხნარზე ანა 19 წლის რუმინელ **მიხაელა ბუზარნესკუს** (263) ხვდებოდა. მატჩი ძალზე დაძაბული გა-მოდგა, ტატიშვილმა სამ სეტში იმარჯ-ვა - 7:6 (5), 5:7, 7:6 (6). ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ანას მეტოქე იქნება ბელარუსი ეკატერინა ჟეჰალევიჩი (21), რომელმაც კვალიფიკაციაში სო-ფიო შაფათავას მოუგო. წყვილთა თანრიგში ანა ტატიშვილი რუს ეკატერინა აფინოგენოვასთან ერთად ითამაშებს სტამბოლის თასის ძირითად ბადეში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

DJCÁJAMA



სტუ ზეიმობს, მჟავანაძე აპროტესტებს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

rassee inment asaesa

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

საძართველოს ხელბურთელთა ჩემპიონატი სკანდალით დასრულდა. აურზაური გამოიწვია "თბილისი სტუ-"თელავის" ფინალური სერიის მეორე მატჩის ბოლო წამებზე მომხდარმა გაუგებრობამ.

რაკიღა ჩემპიონ-პრიზიორები მაინც გამოვლინდნენ და გაიმართა და-ჯილდოების ცერემონიალიც, გვეგონა, რომ სკანდალი მეტ-ნაკლებად ამოწურული იყო.

თუმცა, საქმე უფრო რთულად აღმოჩნდა. გუშინ, რედაქციაში დაგვი-კავშირდა "თბილისის" მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე, რომელიც როგორც იტყვიან, რკინის ქა-ლამნის ჩაცმას აპირებს, სამართლის საპოვნელად.

858735 895356540:

- დღეს, საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში, "თბილისმა" შეიტანა აპელაცია, რომლითაც ვითხოვთ სადა-ვო ფინალის გადათამაშებასა და მერაბ მეტრეველის უმკაცრესად დასჯას. მერაბ მეტრეველი არ ყოფილა მატჩის დელეგატი. ოფიციალურად, დელეგატი გახლდათ თამაზ თევზაძე და ამას თავად მერაბ მეტრეველიც აღიარებს –

ტრიბუნებზე ვიჯექი ჩემთვის, მაგრამ მთხოვეს დელეგატობა და უარი ვერ

ჰოდა, ასე უცბად, ზედ მატჩის წინ შეცვლილი დელეგატი უხეშად ჩაერია მატჩის მსვლელობაში. ამაში ვგულისხმობ ბოლო წუთზე განვითარებულ მოვლენებს. ფინალზე დამსწრე უამრავი ადამიანი დამეთანხმა და თქვენს გაზეთში დაბეჭდილ ფოტოზეც კარგად ჩანს, რომ ფორაქიშვილის უხეშად შეჩერებისთვის აშკარა პენალტი იყო. ნინო ელოშვილმა დაუსტვინა კიდეც, მაგრამ ამ დროს, მეტრეველმა შეაჩერა თამაში და ელოშვილს პენალტის დანიშვნის საშუალება არ მისცა. თუ თამაში იმიტომ შეჩერდა, რომ ბურთი არასწორად შევიყვანეთ თამაშში, მაშინ დაკლებული წამები უნდა დაებრუნებინათ და ცენტრიდან დაწყებულიყო თამაში. რას ნიშ-ნავდა იქ ცხრამეტრიანი ჯარიმის დანიშვნა? ან სულ არაფერი უნდა დანიშნულიყო, ან - პენალტი. ორჯერ ორივით მარტივია, რომ როცა ხელბურთში მოთამაშე მეკარის პირისპირ გადის და წესების დარღვევით აჩერებენ, ცენტრშიც რომ იყოს დარღვევა, პენალტია. ფორაქიშვილი კი მეკარის მოედნის წინ ნააქციეს.

მოკლედ, თავისი ერთპიროვნული ადაწყვეტილებით, მერაბ მეტრეველმა წაგვართვა ჩემპიონობა და ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ მის კვალიფიკაციას. ვითხოვთ მეტრეველის ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისა და ნაკრების მთავრი მწვრთნელის თანამდებობებიდან დათხოვნას.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეო-რებ, რომ არასწორი იყო ხელბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება ფინალური ფლეი ოფის ორ მატჩად ჩატარების შესახებ. თავიდან ამაზე არავის არაფერი უთქვამს – რეგულარული ჩემპიონატის მიწურულს გამოიგონეს სახელდახელოდ. არადა, ნებისმიერ სახეობაში, სადაც ყველაფერი ნორმალურადაა აწყობილი, კლუბებმა თავიდანვე იციან, თუ რა სისტემით უნდა ჩატარდეს ჩემპიონატი – არ შეიძლება, ამას გზადაგზა იგებდე.

შევცდი, რომ ფინალის პირველი მატჩის თბილისში გამართვას დავთანხმდი. ის მატჩი თელავში რომ ჩაგვეტა-რებინა, აუცილებლად მოვიგებდით. ყოველ შემთხვევაში, ექვსი ბურთით არ წავაგებდით და აქამდე არ მივიდოდა საქმე. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახდინეთ სასწაული, რეალურად მოვიგეთ, მაგრამ რად გინდა, ხელიდან გამოგვგლიჯეს ჩემპიონობა. ასეთ ვითარებაში, ალბათ, სერიოზულად დაფიქრება მოგვიწევს, ღირს თუ არა საქართველოს ჩემპიონატში თამაში...

მუავანაძის ასეთი კომენტარის შემდეგ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კაკაბაძეს შევეხმიანეთ.

"თბილისმა" ნამდვილად შემოიტანა აპელაცია და ვალდებულნი ვართ, იგი განვიხილოთ. საჩივარის განხილვა ზეგ შედგება. მჟავანაძეს საკუთარი პოზიცია აქვს, მეტრეველს – თავისი. ვნახოთ, დავჯდებით, ვიმსჯელებთ და შევეცდებით, მდგომარეობა განვმუხტოთ.

ოფიციალურად, "თბილისი" – სტუ-"თელავის" მატჩის დელეგატი ნამდვილად თამაზ თევზაძე იყო. თუმცა, მას პირადი პრობლემები შეექმნა – მეუღლე ჰყავს ავად და მატჩის დაწყებისთანავე სასწრაფოდ ნასვლა მოუხდა. შეიქმნა ექსტრემალური სიტუაცია და იძულებულები გავხდით, დელეგატად მეტრეველი დაგვენიშნა.

კობა ხატისაშვილი


Lyam

30633550 manesan

გუშინ ტოკიოში ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ (კოკაი) მეორე გამარჯვება იზეიმა. მისი მეტოქე 21 წლის მონღოლი კაკურიუ იყო. ქართველი მძლავრად მიაწვა და მეხუთე მაე-გაშირა კაკურიუმ ვერ შეძლო კოკაის დარტყმების მოგერიება. ეს კოკაის პირველი ოშიდაშია მაისის ბაშოზე. გამარჯვების მიუხედავად, კოკაის მდგომარეობა მაინც რთულია (2-7) - იმისთ-ვის, რომ მან ტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულოს, ყველა დარჩეხილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. დღეს მეათე ბრძოლაში კოკაი შეხვდება მეხუთე მაეგაშირა ტაკეკაძეს, რომელ საც ბაშოზე 4 მოგება აქვს. კოკაის კვლავ შეუცვლია მავაში, მისთვის ტრადიციული ლაჟვარდოვანი ფერის ნაცვლად ის მუქი ქამრით ჭიდაობს.

ბაშოს კი ორი ლიდერი დარჩა, დეჯიმამ და ფუტენომ ბაშოზე პირველი მარცხი განიცადეს, ასე რომ, ახლა მხოლოდ დიდი ჩემპიონი ასაშორიუ და ამ ტიტულის მაძიებელი ჰაკუპო დარჩნენ დაუმარცხებლები. გუშინ მოულოდნელად ნააგეს კოტოოშუმ და ჩიოტაიკაიმ.

ნიკოლოზ ნეფარიძე



6562 929W (970000 P.3504 9.260 P.00000 P.0000 P.

13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია) კოკაი-კაკურიუ 1:0 (ოშიდაში), ასაშორიუ-ამა 1:0, პაკუჰო-ტოიონოშიმა 1:0, ამინიშიკი-კოტოოშუ 1:0, კაიო-კისენოსატო 1:0, პო-მაშო-ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი-ტოჩიო-ძანი 1:0, კოტომოგიკუ-ტამანოშიმა 1:0, ტოკიტენკუ-კაკიძოე 1:0, ტაკეკაძე-კასუგაო 1:0, ასასეკირიუ-ტაკამისაკარი 1:0, პოკუ-ტორიკი-ვაკანოსატო 1:0, როპო-დეჯიმა 1:0, მიაბიამა-ფუტენო 1:0.

LVATIGETICAM ARAMANATION OF SUSTAრიუ (იოკოძუნა), პაკუპო (ოძეკი); 8-1: კაიო იოქ (იოკობუბა), ააკუარ (ობეკი), ა სასეკი-(ობეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკი-რიუ (მაეგაშირა 8), დეჯიმა (მ 10), ფუტენო (მ 13); 7-2: კოტოომუ (ოძეკი), ჩიოტაიკაი (ოძეკი), რიუო (მ 14), პოკუტორიკი (მ 16); ... 2-7: კოკაი (მ 2). X ᲓᲦᲔ. მ6Იმ3650ᲚᲝ3Ა6Ი ᲬᲧმᲘᲚᲔᲑᲘ: კო-

კაი-ტაკეკაძე, ასაშორიუ-ამინიშიკი, კო-ტოოშუ-ამა, კაიო-ჩიოტაიკაი, პაკუპო-ტოტოოშუ-ამა, კაიო-ჩიოტაიკაი, პაკუპო-ტო-ჩიოძანი, კოტომიცუკი-კისენოსატო, კო-ტოშოგიკუ-ტოკიტენკუ, პომაშო-ტამანო-შიმა, ტოიონოშიმა-კაკიძოე, ტოჩინონადა-კაკურიუ, რიუო-ვაკანოსატო, პოკუტორიკი-ასასეკირიუ, დეჯიმა-ფუტენო.

963663601

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜ**ᲐᲢᲘ

ᲛᲐᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐ CHUMA

ძალ ფრენბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი ფინიშს მიუახლოვდა. გასამართი დარჩა ბოლო გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ჩემპიონის ვინაობას დაასახელებს.

ორი კვირის წინათ თბილისში ფლეი ოფის პირველ მატჩში ფინალისტები, თბილისის ოლიმპიური რეზერვების ფრენბურთის სპორტსკოლის გუნდი და შარშანდელი ჩემპიონი, დიდი ჯიხაიშის "ჯიკო" დუპირისპირდნენ ერთმანეთს და მასპინძლებმა სპორტსკოლელებმა 3:0 სძლიეს მეტოქეს. გუშინ დიდი ჯიხაიშის კოლეჯის სპორტკომპლექსში ამ გუნდების მეორე მატჩი გაიმართა.

მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს, რათა ანგარიში გაეთანაბრებინათ და მესამე მატჩის თამაშის უფლება მოეპოვებინათ. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და არცთუ მცირე დარბაზი "ჯიკოს" გულშემატკივრებით მთლიანად გაივსო. თუმცა მათთვის სამწუხაროდ პირველი პარტიის დიდმა ნაწილმა სტუმართა უპირატესობით ჩაიარა. "ჯიკომ" პარტიის მეორე ნახევარში მძლავრი თამაშით შეძლო გარდატეხის შეტანა და სეტი 26:24 მოიგო. მეორე სეტში კარგა ხანს შეხვედრა ქულა-ქულაზე მიდიოდა, მაგრამ ამის შემდეგ თბილისელთა ახალგაზრდული გუნდის თამაშში თანდათანობით ხარვეზები გაჩნდა, რაც საბოლოოდ მეორე სეტის წაგებით და-უჯდათ - 25:17 "ჯიკოს" სასარგებლოდ. მაყურებელთა მიერ შეგულიანებმა მასპინძლებმა მესამე სეტიც აღმავლობით ჩაატარეს და თანამიმდევრული და დამაჯერებელი თამაშით ისევ გაიმარჯვეს 25:16. მასპინძელთა შორის ყველაზე საუკეთესო ღვინჯილია-შენგელიას დუეტი გახლდათ. "ჯიკომ" ამით სერიაში ანგარიში გაათანაბრა და ჩემპიონის გამოსავლენად ამ გუნდებს შორის დღეს გადამწყვეტი მატჩი გაიმართება. იგი ჯიხაიშში დღის 2 საათზე და-

> მერაბ გრძელიძე 2020 30k502025E

अत्रतान-ध्याप्तकलाहर-नाध्यक

26:24, 25:17, 25:16 ჯიპო: დავითულიანი, გეგუჩაძე, მიქაძე, ღვინჯილია, შენგელია, აირაპეტიანი, კახაძე, გაზაშვილი, იოსებაშვილი, გეგუჩაძე.

სპორტსპოლა: ლომაძე, კოროშინაძე, მძელური, პაპიძე, ყიფშიძე, ბანძელაძე, ალიბეგაშვილი, დანელია.





LYJYYYYY JAM367AU WALISTURY JMANSOSA BYKAMANGAJEM

omposition of sns200000335

ԵԺԵՌԽՈՄՍՈ ՍՈՖԽՈԵՍ ՈՇԵԽԵԵՍ

ეს სტრიქონები 2007 წლის მაისში იწერება და რაკი 1985 წლის მოვლენებზე ვაგრძელებთ თხრობას, სწორედ იმ წლის მაისი გვახსენებს თავს სამი არასასიამოვნო, უფრო სწორად, ტრაგიკული მოვლენით, რომელმაც მსოფლიო შეძრა. 1985 წლის 11 მაისი. ინგლისის "ბრადფორდის" სტადიონი ხანძრის ალში ეხვევა. იღუპება 56 და სახიჩრდება 265 ადამიანი. მატჩის სანახავად (III დივიზიონის "პრედფორდ სიტი" მასპინძლობდა "ლინ-კოლნ სიტის") ტრიბუნებზე 11 ათასი გულშემატკივარი იყო შეკრებილი

16 დლის შემდეგ, 27 მაისს, მეხიკოს ერთ-ერთ საფეხბურთო სტადიონზე წარმოქმნილ ჭყლეტაში 10 ადამიანი დაიღუპა და 50 დაშავდა

გადის ორი დღე და 29 მაისს ახალი ტრაგედიი მომსწრე ბრიუსელი ხდება. "ეიზელის" სტადიონზე, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის (იუვენტუსი-ლივერპული) დაწყებამდე, აღტკინებულ მაყურებელთა თავაშვებულობის შედეგი მეტად მძიმეა: 39 გულშემატკივარი დაიღუპა, 400 კი

ცხადია, იყო სასიამოვნო და ლირსახსოვარი მოვლენებიც, მაგრამ მათი სრულად განზოგადება ჩვენი პროექტის ჩარჩოში შეუძლებელია. ამიტომ, დავუბრუნდეთ ქართული სპორტის ისტო-რიას.

პრიპი. საქართველოს მოკრივეებიდან 1985 წელი თპილისელი **ალბერტ კაზანჯიანის** (54) გამორ ჩეული მიღწევებით აღინიშნა. მან ჯერ მოიგო საერთაშორისო ტურნირი (იაროსლავლი), შემდეგ კი, ერევანში, სსრკ ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა, სძლია რა ფინალში რსფსრ-ის წარმომადგენელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ვიაჩესლავ** შულეპკოს. კაზანჯიანმა თავის მონაგარში იმ წელს მიითვალა ოქროს კიდევ ერთი მედალი, რომელიც მან მოიპოვა ფინეთში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში. აქვე ვიტყვით, რომ ალბერტის უმცროსი ძმა **რუდიკ კაზანჯიანიც** (48) შესანიშნავი მოკრივე იყო და 1985 წელს ნიკარაგუაში საერთაშორისო ტურნირიც მოიგო. კოპენჰაგენის საერთაშოტურნირზე ნარმატებით გამოვიდა ხვიჩა ხდრიანი (54). ეს თბილისელი მოკრივე მერე იუნირთა შორის მსოფლიო პირველობის (რუმინეთი) ვერცხლის მედალს დაეუფლა. ლენინგრადში ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების საკავშრო შეჯიბრე ბა, სადაც პირველობა მოიპოვეს თბილისის სახელმ წიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა - კახაბერ შალამბერიძემ (60) და ვასილ კვანტალიანმა (71), მე-ორე ადგილზე გავიდა ბონდო მამულაშვილი (71). სსრკ თასის გათამაშებიდან (ივანოვო) შინ თასითა და ოქროს მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა ფო-თელი **იური სავოჩკინი** (60), ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: თპილისელი კონსტანტინე კოტოიანი (71) და ქუთაისელი **ანზორ ჯიმშელეიშვილი** (მძიმე). არანაკლებ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს

ჩვენმა ჭაბუკებმა, ახალგაზრდებმა და იუნიორებმა. ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში (კიევი) ფინალში გააღწია და გადამწყვეტი ბრძოლები მოიგო **ნიკოლოზ** სეთურმა (91), მეორე იყვნენ რუდიკ კაზანჯიანი (48) და სპარტაკ ასანიძე (მძიმე), მესამე - დავით შარვაშიძე (54). კიევში VIII საკავშირო მემორიალის ლაურეატთა შორის იყვნენ გოჩა კოსტანოვი (57), კახა ქარდავა (63) და არტურ ჩიტოიანი (66), მეორე ადგილზე **ედუარდ აბაზაძე** (46) გავიდა.

თბილისში, ჭაბუკ მოკრივეთა IV საერთაშორისო ტურნირი მასპინძლებიდან მოიგეს **ჯამბულატ ყუ**ფარაძემ (71) და ნიკოლოზ სეთურმა (91); მხოლ ფინალში დამარცხდნენ რუდიკ კაზანჯიანი (48), ირაკლი ჭუმბურიძე (75) და სამველ ვარდიკიანი (მძიმე). ჩვენი გუნდი მეორე პრიზიორი გახდა

ვილნიუსი. ჭაბუკთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი. თავიანთ წონებში უძლიერესები იყვნენ: კახა ჩიქვინიძე, იანის დამიცევი, სოსო გარიშვილი, ედგარ რუდნიკოვი, ოლეგ მარტიროსოვი, თემურ კოზაევი, ედიკ ხუდოევი, ვალერი ქარიბოვი, მალხაზ ხვედელიანი; მეორე პრიზიორები: ჯურღა ნიკლაური და ლერი კალანდაძე. ახალგაზრდებს შორის სსრკ პირველობაზე (პენზა) მხოლი რი ორთაბრძოლა ნააგო **ნიკოლოზ სეთურმა** (91) და საქართველოს ნაკრებიდან ერთადერთი მე-

ძალпьстъა. სოფლის სპორტსმენთა თამაშებში (ბაქო) ჩემპიონის წოდება მოიპოვა ხანარ ნაბიევმა (75), ბრინჯაოს მედალი კი კახაბერ მისი-რელს ხვდა წილად. სპორტის ამ სახეობაში სხვა მნიშვნელოვანი ნარმატება 1985 წელს ქართული სპორტის ისტორიაში არ დაფიქსირებულა.

მძლეოსნობა. 1985 წელს ქართულ მძლეოსნობას ერთგვარი შტილი დაუდგა. მხოლოდ საკავშირო ასპარეზობათა დონეზე თუ აღნევდნენ გარკვეულ ნარმატებებს ჩვენი ათლეტები, ისიც, მეტნი ლად, ასაკობრივ ან დარგობრივ კომპლექსურ შეჯიბრებებში. სსრკ თასის გათამაშების ნახევარფი ნალი ჩატარა თბილისში. საქართველოდან ორმა სპორტსმენმა გამოიჩინა თავი. ვიაჩესლავ ვასილიევმა მოიგო 60 მ თარჯრბენი, მეორე იყო სიგრძეზე ხტომასა და ორჭიდში (60 მ თარჯი, 200 მ); სიმაღლეზე ხტომაში კი ყველას აჯობა **გენადი გოლუბევმა**. სტუდენტ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე (პოლტავა) სიგრძეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა

13403CN L3M48N 1981-1990 ECTAR





თსუ-ს სტუდენტ ვახტანგ მინაშვილს. სსრკ კავშირში კვლავ ინარჩუნებდა ერთ-ერთი ლიდერის პოზი ციას ნიჭიერი ქართველი მორბენალი მაია აზარაშვილი. ბაქოში გამართულ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში მაიას წილად ხვდა ოქროს ორი მედალი (100 და 200 მ რბენებში); შუბის ტყორცნაში მეორე პრიზიორი გახდა ელგუჯა ქორთიევი. პროფკავშირების საკავშირო პირველობის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს ნუგზარ გამეზარდაშვილმა (40 მ. თარჯი) და მაია ჭინჭარაულმა (ბირთვი). ბადროს ტყორცნაში მეორე ადგილზე ჯუმბერ ფანჯიკიძე გავიდა. იმ წელიწადს, პოლტავაში, ჭაბუკ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაც გაიმართა. შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი ტალანტი იოსებ შავერდაშვილმა, რომელმაც ორჭიდში, 60 მ რბენასა და უროს ტყორცნაში, ოქროს მედალი დაიმსახურა. ბადროს ტყორცნასა და 60 მ რბენაში კი უძლიე რესი იყო ჯუმბერ ფანჯიკიძე. ვერცხლის სამი მელი მოიპოვა **რაულ ხვიჩიამ** (სიგრძე, სიმაღლე, 60 მ). იუნიორი მძლეოსნები სიმფეროპოლში ასპარეზობდნენ საკავშირო ტურნირში. შესანიშნავ შედეგს მიაღნია სოხუმელმა ტარიელ პინაძემ, რომელმაც ბირთვი ყველაზე შორს (18.33 მ) გა ბადროს ტყორცნაში კი მისი შედეგი (56.84) მესამე იყო. ასევე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ახალციხე-ლი **ზიგმუნდ ზილბერშტეინი** 2000 მ წინალობებით რბენაში. დაბოლოს, კიევი, ჭაბუკთა სპორტულ მაშები. ვერცხლის მედალი ხვდათ წილად გოჩა ჩერტკოშვილს (ჭოკით ხტომა), იგორ ივანოვს (110 მ თარჯი), გენადი გლაზოვს (სიგრძე), ბრინჯაოს პრიირი გახდა **ლეილა გელაშვილი** (ბადრო).

სასტენᲓᲝ სᲠᲝᲚᲐ. სპორტის ამ სახეობაში ააქართველო საყრდენ ცენტრად იყო აღიარებული სწორედ ამან განაპირობა ჩვენში სასროლეთების მშენებლობა. ერთი ასეთი კეთილმოწყობილი ბაზა გაიხსნა მახარაძეში (დღევანდელი ოზურგეთი), სადაც 1985 წელს სსრკ ჩემპიონატი ჩატარდა უმაღლე-სი დაოსტატეპის სპორტული სკოლების გუნდებს შორის. თვით ასპარეზობის დასახელება მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ გურიაში შეიკრიბნენ სსრ კავში რის ყველაზე გამოჩენილი ოსტატები. მასპინძლებიდან ჩემპიონი გახდა მხოლოდ ერთი მესტენდური შოთა თავაძე. ჩვენი გუნდი კი მესამე ადგილზე გავიდა. ის სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა არჩილ საბედაშვილმა, რომელიც ჭაბუკთა საკავშირო თამაშების (კიევი) ჩემპიონი გახდა სასანგრე სტენდზე ასპარეზობაში, მერე მოიგო იუნიორთა შორის "ჰელსინკის დიდი პრიზის" ტურნირი (ფინეთი) ადგილიდან სროლაში. ამის შემდეგ კი არჩილმა ევროპის ჩემპიონატზე (საფრანგეთი) მესამე ადგილი დაიკავა იუნიორთა შორის სატრანშეო სტენდზე სროლაში. ეს შეჯიბრება ჩატარდა მოზრდილებში კონტინენტის ჩემპიონატის პარალელურად. ძირითად შეჯიბრებაში თავისი მაღალი ოსტატობა (სსრკ ნაკრებში) კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბრწყინვალე მესტენდურმა თამაზ იმნაიშვილმა. მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში ის ევროპის ჩემპიონი გახდა გუნდთან ერთად, ხოლო პირად პირველობაში ვერცხლის მედალს დას-ჯერდა. მანამდე, იმნაიშვილი ასევე ვერცხლის მე-დალს დაეუფლა სსრკ თასის გათამაშებაში (ფრუნ-

გუვიის სოოლა. სსრკ ნაკრებმა ევროპის იუნიორთა გუნდური პირველობა (იუგოსლავია) მო-იგო სტანდარტულ სროლაში. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი თბილისელმა ნინო სალუქვაძემაც შეიტანა. პირად პირველობაში უმაღლესი მიღწევი თვის, მას ოქროს მედალი გადაეცა. სალუქვაძემ წარმატებით იასპარეზა სოხუმშიც, სადაც ის უკვე საქართველოს სახელით გამოდიოდა საკავშირო თასის გათამაშებაში. ამჯერად, ნინოს ოქროს მედალი მპ-5 ვარჯიშში საუკეთესო შედეგისთვის გადაეცა. სოხუმშივე ჩატარდა სსრკ ჩემპიონატი სპორ ტულ საზოგადოებებსა და უწყებებს შორის. მსხვილკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში - პირველი, პვ-9 ვარჯიშში - მეორე, ხოლო პვ-6 ვარჯიშში მესამე იყო **თემურ ქოიავა**. პპ-2 ვარჯიშში II-III ადგილები გაიყო **მეგი ხუბელაშვილმა**. სოხუმთან ახ-ლოს, ეშერის ოლიმპიური მზადების კომპლექსის სასროლეთზე, საკავშირო პირველობაზე მშ-9 ვარჯიშში 600 შესაძლებლიდან 599 ქულა მოაგრი ბილისელმა არმიელმა სპორტსმენმა **ვლადიმერ** სამოილენკომ და ამ შესანიშნავი შედეგით მოიპოვა უძლიერესის სახელი.

മമ3ന്നുമ്പോട് പാക്കാര ക്കാര്യ പാര്യുന്നുბით იმკვიდრებს სახელს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. განსაკუთ რებით გამოირჩევა თბილისელი **ვადიმ რეშეტოვ**ი ბრესტში ის ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე ოქ ოთხ (30,50,90 მ; აბსოლუტური) და ვერცხლის (70 მ) ერთ მედალს ეუფლება. რეშეტოვმა აქ პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა თამაშებში გუნდური მესამე ადგილი დაიკავა (**ვადიმ** რეშეტოვი, ოლეგ კრისკო, ლაშა შავერზადაშვი-ლი, კახაბერ ძნელაძე) რეშეტოვი სსრკ ნაკრებში დრუჟბას" სახელით ცნობილი სოცქვეყნების ჭაბუკთა ტრადიციულ ტურნირშიც (უნგრეთი) გამო ვიდა და მ-1 ვარჯიშში მეორე შედეგი ჰქონდა. შემ-დეგ იყო იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც ის 8-1 ვარჯიშში უკვე ჩემპიონი გახდა. ქალებიდან ამ სეზონში მხოლოდ ერთადერთმა ჩვენმა მშვილდო-სანმა, **ნანა დიასამიძემ** მოიპოვა მედალი. ის მესამე იყო სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში (ბაქო).

ფარიკაოგა. საქართველოს ნაკრები, ამარ-კხებს რა ფინალში უკრაინის ნაკრებს, ვაჟთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობის ბრინჯაოს მედლით რაპირაში ჯილდოვდება. გუნდში გამოდიოდ-ნენ ვლადიმერ და ზურაბ აფციაურები, გიორგი გელაშვილი, მალხაზ ნუცუბიძე და ოლეგ ჩერნიშოვი. მოსკოვის ოლქის ქალაქ ხიმკიში გაიმართა სა-კავშირო შეჯიბრება. დაშნაში ჩვენი ნაკრები მეორე დგილზე გავიდა. შემადგენლობა ასეთი იყო: **ლევან** ობიძე, ალექსანდრე ზახაშვილი, დავით აბესაძე. რაპირაში ჩვენებს III ადგილი ხვდათ წილად (**ნიკა** ასათიანი, დიმიტრი დავითაშვილი, გოჩა ზვიადა-ძე). იუნიორთა საკავშირო პირველობა (ერევანი) ლით ფარიკაობაში, დასრულდა თბილისელი კახა მახარაძის გამარჯვებით. იმ მიღწევების დასაფასებლად, რასაც გლდანის სპორტული სკი ტერნატის აღსაზრდელები აღნევდნენ სპორტის ცალკეულ სახეობებში და კერძოდ, ფარიკაობაში, თბილისში ჩატარდა ხსენებული პროფილის სპორ-ტული სკოლების პირველობა. მასპინძელთა შედეგე-ბი შთამბეჭდავია. ხმალში პირველი იყო **მალ აკვაპი**, მეორე - ზურაბ იოსებიძე, მესამე - კახა მახარაძე ოქროს მედლები დაშნაში **ქეთევან გაჩეჩილაძემ** და **ოლეგ ჩერნიშოვმა** დაიმსახურეს. მათვე მოიგეს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაც (რაპირა).

ცხენოსნობა. სსრ კავშირის ნაკრებში კვლავ ერთ-ერთ ლიდერად რჩებოდა ხარლამ სიმონია. გდრ-ში მან მოიგო საერთაშორისო ტურნირი, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი ასაკის ცხენით დაბრკოლებათა გადალახვაში. სიმონია პირველი ცხენოსანია საქართველოდან, რომელსაც მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება. სსრკ ჩემპიონატის (მოსკოვი) საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში სიმონია მესამე ადგილზე გავიდა, თვით ჩემპიონატში კი ჩვენი გუნდი, ხარლამ სიმონია-ვალერი შელიას შემადგენლობით, ასევე მესამე პრიზიორი გახდა. დიდ სარბიელზე გამოჩნდა კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველი მხედარი ზაზა გონჯილაშვილი, რომლის წარმატებული დებიუტის დასტური იყო ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე (მოსკოვი) მოპოვებული ბრინჯაოს მედალი. მესამე ადგილზე გავიდა ჩვენი გუნდიც.

താരാമാരുപ്പാാ പാനക്കാരം രാഹ്യാര് രാഹ്യാര് രാഹ്യാര് വാര്യാര്യാ ტარდა სსრკ გუნდური პირველობა, რომელიც საქართველოს ნაკრებმა მოიგო. გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ ვახტანგ იაგორაშვილი, იური ვერბიცკი, რევაზ ლოხიშვილი და ანდრე მიასიჩევი. ბულგარეთში სსრკ ნაკრების გამარჯვებით დასრულდა ევროპის თასის გათამაშება. გარდა გუნდურისა, იგორ ბრიზგალოვს პირად პირველობაშიც ხვდა წილად ოქროს მედალი. ასევე გუნდურ და პი-რად პირველობაში, სსრკ იუნიორთა ნაკრების შემადგენლობაში, ოქროს მედლით დაჯილდო მსოფლიო პირველობის (კიევი) მონაწილე ვახტანგ იაგორაშვილი. ვახტანგმა მოიგო მეგობრული არმიების პირველობაც (პოლონეთი). ამასთან, ის პირველი იყო ცურვაში, მესამე - ფარიკაობასა და ცხენოს-

ველოსპორტი. ამ პერიოდში საქართველოში ველოსპორტი აღმავლობას განიცდიდა, რაც მიღნეულ ნარმატებებშიც აისახა. **ოთარ მჭედლიშვილ**ი სსრკ თასზე (მოსკოვი) მეორე იყო 200 მ გიტში, ვერ-ცხლის ორი მედალი მოიგო სსრკ პირველობაზე (კლაიპედა) 1 000 მ-ზე და სპრინტში. მეორე იყო ზამთრის საკავშირო პირველობაზეც. კოლუმბიაში სსრკ ნაკრებში, ორი პირველი ადგილი დაიკავა 500 მ გიტსა და სპრინტში. თბილისში საკავშირო შეჯიბრებაზე იმარჯვებენ იური ზემენკოვი (4 კმ) და პაატა ხუბულავა (სპრინტი), ვლადიმერ ადამაშვილი მეორე იყო, **გოჩა ბეჟაშვილი** - მესამე (ორივე სპრინ ტი). 100 წრეზე ჯგუფურ რბოლაში საუკეთესო შედეგი რამაზ წაქაძეს ჰქონდა. მეორე და მესამე ად ლებიც, შესაბამისად, თბილისელებს - ალექსანდრ სტენიკოვსა და გოჩა ბეჟაშვილს ერგოთ საქართველოს ნაკრებმა მოიგო 4 კმ-ზე გუნდური პირველობაც. შემადგენლობა: **იური ზიმენკოვი,** სერგეი კუკლენკოვი, გენადი გოდუნოვი და რამაზ **წაქაძე**. სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებ ში (ბაქო) გია აბალიშვილი მესამე იყო. იუნიორთა საკავშირო პირველობაზე (ლვოვი) ტრეკზე რბოლაში საქართველოს ნაკრები ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. გუნდში გამოდიოდნენ: **ვლადიმერ აბრამიშ**ვილი, ვიაჩესლავ ქარუმიძე, მიხეილ ჩევარდოვი, ალექსანდრე სვეტნიკოვი და ვასილი დავიდენკო,

เลาเลงวะก ชวธววสจากา. เปต_{ูวี} คิกูชิวิกาติง ტის ვერცხლის რამდენიმე მედალი შემატა თავის სპორტულ ჯილდოებს საერთაშორისო კლასის სპორ ტის ოსტატმა **ვლადიმერ გოგოლაძემ**. ვერცხლის მედლები მას გადაეცა ღერძზე ვარჯიშსა და მრავალ ჭიდში, მოიგო ტრადიციული ტურნირი "რიგა 85" მრა ვალჭიდში, მეორე იყო "მოსკოვსკიე ნოვოსტის" საერ თაშორისო ტურნირზე, მესამე - ევროპის ჩემპიონატზე (ოსლო). სსრკ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი გადაეცა **ეკა ზეთურიძეს** (ხტომები), ხოლო ტოკიოს დიდი საერთაშორისო ტურნირი ოქროს მედლის მოპოვე ით დაასრულა. წარმატებას მიაღწია 14 წლის **ლევან** სისაურმა. ის პირველი იყო ლუბლიანის საერთაშორისო ტურნირში, ტაიჭზე ვარჯიშში, ბჯენით ხტომებ-სა და თავისუფალ ვარჯიშში - მესამე. ბჯენით ხტომებში მეორე ადგილზე გავიდა **ინგა ქელიხაშვილი** ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში (ოდესა) **ნუგზარ ღვი ნიაშვილი** ღერძზე უძლიერესი იყო, ბჯენით ხტომებ ში კი მესამე ადგილი ხვდა წილად **ზაზა ხომასურიძეს** ეს ტანმოვარჯიშე განათლების სისტემის სპორტ სკოლების საკავშირო პირად-გუნდური პირველობის მესამე პრიზიორი გახდა გუნდურ ჩათვლაში, **იური** გასიშვილსა და გივი ეპიტაშვილთან ერთად.

მხაგვრული განვარჯიში. განათლების სისტემის სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებას პირველად უმასპინძლა თბილისმა. უფროს ასაკში თბილისელმა ევგენია შირინკინამ ბურთითა და სახტუნელათი ვარჯიშში ოქროს მედლები დაიმსახურა, მეორე იყო ლენტით გამოსვლაში. უმცროს ასაკში 5 მედალი მოდის **ელისო ბედოშვილის** წილად - ოქროსი (რგოლები და სახტუნელა), ვერცხლის (გურზებით), ბრინჯაოსი (ბურთი და ლენტი); ვერა ყიფიანი მეორე იყო ლენტით, მესამე - სახტუნელათი ვარჯიშებში. თბილისში ჩატარდა აგრეთვე საკავშირო ტურნირი "ფერთა ფერია" 1970-71 წლებ ში დაბადებულთათვის. მრავალჭიდში შირინკინა უძლიერესი იყო, ბედოშვილი - მეორე. ამასთან, ში რინკინამ ოქროს მედლები მოიპოვა სახტუნელათი, გურზებით, რგოლითა და ლენტით ვარჯიშებში, ბე დოშვილმა - ბურთითა და უსაგნოდ ასპარეზობაში გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებს ხვდა წილად.

აკროგატიკა. თბილისში გამართულ სსრკ 39ჩემპიონატში ღირსეულად იასპარეზეს უკვე მთელ მსოფლიოში აღიარებულმა ჩვენმა გოგონებმა. ქალთა ჯგუფური ვარჯიში დიდი უპირატესობით მოიგი მარინე შაღაშვილის, ინგა გიორგობიანისა და ნა**ტალია ანისიმოვას** სამეულმა. ქალთა წყვილში ასე ვე ოქროს მედალი მოიპოვეს მაია შალიკაშვილმა და მანანა მნათობიშვილმა. აკრობატულ ხტომებში **ფატი სულაქველიძე** მესამე იყო, ამავე პროგრამაში ვაჟთა შორის მეორე შედეგი ჰქონდა **გია მარმარაშ-**ვილს. ეს უკანასკნელი შემდეგ ჯერ სსრ კავშირის (ჩელიაბინსკი) და შემდეგ მსოფლიო თასის (პეკინი) მეორე პრიზიორი გახდა. სსრკ თასზე თბილისელი მსოფლიოს ექსჩემპიონი სვეტლანა მკრტჩიანი კრასნოდარელ ელენე ზადირიევასთან ერთად გამოვიდა ქალთა წყვილში და ვერცხლის მედალოსანი გახდა. აკრობატულ ხტომებში მესამე ადგილზე იყო ფატი სულაქველიძე. ეს გოგონა ჭაბუკთა საკაეშირო თამაშებში მეორე პრიზიორი გახდა ხტომებში. გოდერძი ახობაძის, ვაჟა არაყიშვილის, დავით მღებრიშვილისა და ოლეგ სლივკოვის ოთხეულმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, ქალთა სამეული - მარინე შალაშვილის, ნატალია ანისიმოვასა და ინგა გიორგობიანის შემადგენლობით, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

თენგიზ გაჩეჩილაძე





WISTAMBORN DAMBETTEN MENDENDAN

JManajan bykamangajan

ne decume inaminus in a

30com636mn

06&0Რ30T ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

JUSMEJMAI. RJAZNMEJAN 973PG39U



ძართველ ლეგიონერთაგან ფინალურ სერიაში პირველად გიორგი ცინცაძე ჩაერთო. საწყისი ორი მატჩის შემდეგ მის "ტარტუ როკსა" და 'კალევს" შორის ანგარიში საყაიმოა -1:1. მომდევნო ორი შეხვედრა "კალევის" მოედანზე გაიმართება. სერია ოთხ მოგებამდეა.

გუშინ გიორგი ცინცაძეს ტარტუში დავურეკეთ და ესტონურ ამბებზე ვესაუბრეთ.

- სეზონის დასაწყისში "კალევს" სადაც შეხვდით, ყველგან მოუგეთ. ახლა კი მათთან გამკლავება ძალიან გიჭირთ. რატომ?

- კონკრეტული მიზეზის დასახელება რთულია. სიტუაციას ნეიტრალური თვალით რომ შევხედოთ, ორივე გუნდი

თანაბარი ძალისაა. ეს ფინალური სერიის საწყის მატჩებშიც გამოჩნდა - ჯერ ოვერტაიმში დავმარცხდით, შემდეგ 1 ქულის სხვაობით ვიმარჯვეთ.

- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონობის შანსი რომელ გუნდს უფრო მეტი

- თუ ჩვენი თამაშის ჩვენებას მოვახერხებთ, "კალევის" ძლევა ნამდვილად შეგვეძლება, ამასან თუ მწვრთნელმა არ განაგრძო ალოგიკური მოქმედება...

- რას გულისხმობ?

- არ მინდა ისე გამოჩნდეს, თითქოს, ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის გამო, მწვრთნელზე ნაწყენი ვიყო. რაც უნდა იყოს, ამ სეზონში სტაბილურად ვთამაშობ და უკმაყოფილების საბაბი ნაკლებად მაქვს. მაგრამ რა ვქნა, რომ მწვრთნელის ლოგიკას ვერაფრით გავუგე... ფინალური სერიის მეორე მატჩში მოედანზე მაშინ შემიყვანა, როცა 12 ქულის სხვაობით ვაგებდით. მალე ჩამორჩენა გავაბათილეთ და როცა დავნინაურდით, სწორედ მაშინ დამსვა სათადარიგოთა სკამზე...

- იქნებ, წინ გასულს დაცვის გაძლიერება სჭირდებოდა და იმიტომ შეგცვალა?

- გადაჭარბებით არაფერს ვიტყვი ის, ვინც შემცვალა 177 სმ სიმაღლის ამერიკელი დევიდ ბეილია, ჩვენი ტაქტიკის მიხედვით კი დაბლებს მაღლებთან თამაში ხშირად გვიწევს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დევიდი შეტევაში უფრო ეფექტურია, ვიდრე დაცვაში. თუმცა, არც იმას ვამბობ - მასზე უკეთესი დამცველი ვარ-მეთქი. აქაურ პრესაში ამერიკელის ჩამოყვანის გამო მწვრთნელს აკრიტიკებენ. გუნდის თავკაცი კი ცდილობს თავისი მოქმედება გაამართლოს და ბეილის სასტარტო ხუთეულში ათამაშებს.

- ასე რომ, მასმედია შენს მხარეზეა. ერთი ან მეორე მხარე არ არსებობს. უბრალოდ, ფაქტს ვუსვამ ხაზს, ამას ვერსად გავექცევით.

- ასეთ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ექნება ქომაგთა მოსაზრებას...

- ძალიან მიხარია, რომ გულშემატკივრების აქტიურ მხარდაჭერას ვგრძნობ. ბოლო დროს ხშირად შეცვლებ-ზე შევდივარ და "როკის" ქომაგები ჩემს მოედანზე გამოჩენას ხმაურით ხვდები-

- სეზონის დასაწყისში ორჯერ მეტს ისროდი...

- საქმე ისაა, რომ ახლა "როკი" უკეთაა შეთამაშებული და ყველას თავისი ფუნქცია ქვს. მეც იერიშებისას დიდი არჩევანი მაქვს და თუ 100 პროცენტით სასროლ პოზიციაზე არ აღმოვჩნდი,

ტყორცნისგან თავს ვიკავებ.
- "როკთან" კონტრაქტის ვადა
დასრულებისთანავე გეწურება. სამომავლო გეგმებზე ხომ არ გიფიქრია?

- ჯერ მხოლოდ ფინალებზე ვფიქ-რობ, თუმცა იმის თქმაც შემიძლია, რომ თუ მწვრთნელი არ შეიცვალა, "ტარტუ როკში", ალბათ, არ დავრჩები.

ბოლო დროს ყოფილ მწვრთნელ დუშან ივკოვიჩთან ხომ არ გქონია კავშირი?

- არა. რაც მოსკოვის "დინამოდან" წამოვედი, მასთან არ მისაუბრია.

- ზემოთ დაცვაზე ისაუბრე. ივკოვიჩთან ცსკა-სა და "დინამოში" ვარჯიშით დაცვაში თამაში რამდენად გაიუმჯობესე?

- საქართველოდან რომ წამოვედი ელემენტარულ დონეზე ყველაფერი ვი-(კოდი, მაგრამ რუსეთში ერთი-ორად დავხვენე. ივკოვიჩისგან ბევრი რამ ვისწავლე და ახლა, თუნდაც დაცვაში არცერთ თა-ნაგუნდელს რომ არ ჩამოვუვარდები, სწორედ ამ მწვრთნელის დამსახურებაა.

ვაჟა სიმონიშვილი



3ᲐᲚᲔᲠᲘ **Ჯ**ᲒᲔᲠᲔᲜᲐᲘᲐᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

738783000F **38311161**

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის (რომლის ხელმძღვანელად ახლახან ყოფილი კალათბურთელი **ბეჟან** ქვილითაია აირჩიეს) ინიციატივით, საქართველოს სამედიცინო უნივერიტეტის დარბაზში ვალერი ჯგერენაიას მემორიალი მოეწყო.

ტურნირში, რომელიც ერთ დღეში დასრულდა, 1990-91 წლებში დაბადებულთა 6 გუნდი მონაწილეობდა, აფხაზეთის, ერთი - ზუგდიდის: "დიოს-კურია", "ცხუმი", სსუ, "ზუგდიდი", "კოლხა" და "კოლხა 2".

ფორმალურმა სტუმრებმა, ზუგდიდელებმა, მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო ფინალში ერთმანეთს ვახტანგ ქვი-ლითაიას "კოლხა" და ლიკა ქაჯაიას 'კოლხა 2" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა 7-ქულიანი სხვაობით "კოლხამ" მოიგო და საპატიო ჯილდოსაც დაეუფლა. ვალერი ჯგერენაიას სახელობის თასი

გამარჯვებულებს მისმა ვაჟმა, წლევან-დელ სეზონში "მაკაპის" მაისურით მოასპარეზე ირაკლი ჯგერენაიამ გადასცა. აქვე დავძენთ, რომ იგი კარიერის გაგრძელებას ამერიკის, კერძოდ ნიუ ჯერსის უნივერსიტეტში აპირებს, ოკეანისგაღმიდან მიწვევა უკვე ჩამოუვიდა

მამის პროფესია აირჩია უმცროსმა გიორგი ჯგერენაიამ, რომელიც საქართველოს კადეტთა ნაკრებში თამაშობდა, ამჟამად კი ლიტვაში, არვიდას საბონისის აკადემიაში იწრთობა.

მემორიალს დაესწრნენ ვალერი ჯგერენაიას მეგობრები **ნოდარ ქორ**ქია და პაატა გურასპაული, ასევე აფხაზეთის განათლების მინისტრის მოადგილე ბესიკ ოდიშარია, რომელმაც ასეთი ტურნირების ტრადიციად ქცევა და მომრავლება ისურვა.

ვაჟა სიმონიშვილი

ചാക്തദാന്മാപ **ᲥᲐᲜᲐᲠᲔᲑᲖᲔ**

ესპანეთის ქალაქ ტენერიფეს გუნდ "არონაბასკეტში" მოთამაშე ქართველთა შესახებ ხშირად ვწერთ. ამ კლუბში ხომ ჩვენი კადეტთა ნაკრების არაერთმა წევრმა გაიარა... ამჟამად "არონაში" კადეტთა ასაკის

კალათბურთელი ირიცხება - გიორგი ხანიაშვილი, გრიგოლ კოხრეიძე, გრიგოლ შვანგირაძე და ვახტანგ კვარაცხელია. მათ ახლახან კანარის კუნ-ძულების ჩემპიონატში მიიღეს მონაწი-ლეობა და "არონას" არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვეს პირველობა. გამარჯვებულთა რიგებში, ძირითად შემადგენლობაში ხანიაშვილი და კოხრეიძე თამაშობდნენ.

კანარების პირველობის მოპოვება ესპანეთის ჩემპიონატისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ახლა არონელებს კუნძულელთა ღირსების დაცვა ესპანეთის პირველობაზე მოუწევთ, რომელშიც ყველა პროვინციის ჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას

ვაჟა სიმონიშვილი

Loaam



ოლეგ იაძე და ბადრი ჯანიაშვილი

ლატ300ს ქალაქ ლიეპაიეში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების ნინ, საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ** გულშემატკივრები დააიმედა, რომ ჩვენი დელეგაცია შინ უთუოდ ხელდამშვენებული დაბრუნდებოდა. ოლეგს ფუჭი დაპირებები არ სჩვევია და მისი სიტყვა ამჯერადაც საქმიანი გამოდგა. ქართული სამბოს ხვალინ-

13 a) PENO J3KM3NL RJAJNM6J&NQJ6

დელი დღის შემოქმედნი ლიეპაიედან სამშობლოში 13 მედლით დაბრუნდნენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს. ჭაბუკებში ოქროს მედალი მოიპოვა გორელმა **ზურაბ დიდებაშვილ- მა** (75); ვერცხლის მედალი დაიმსახურა **ილია ტყეშელაშვილმა**(52, ქუთაისი) და **რობერტ მშვიდობაძემ** (57, გორი); ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ ვალერი მხეიძე (48, ვანი), გიორგი ჩიტაშვილი (60), ლევან ნახუცრიშვილი (65, ორივე თბილისი), ირაკლი მერკვილაძე (81, ტყიბული) და მირიან გონჯილაშვილი (მძიმე, ახმეტა). ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონები გახდნენ გორელი დავით კარბელაშვილი (82) და ქუთაისელი გოდერჯი ჯავახაძე (90); ვერცხლის მედლები გადაეცათ გიორგი იაძესა (74) და ვახტანგ ზოიძეს (100, ორივე - კასპი); ბრინჯაოს მედალოსანი გახდა გორელი ნუგზარ ბადაშვილი (100).

ქართველ სპორტსმენებს შეჯიბრებაზე ახლდა საქართველოს იროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ოლეგ იაძე, მწვრთნელები გია ჩიტაშვილი, ბადრი ჯანიაშვილი და მსაჯად მინვეული ექსტრაკლასის არბიტრი ემილ რაში.

ომარ ჩხაიძე

aneomáa

პაპაშვილების საჭიდაო დინა სტია კახეთმა ჯერ გიორგი პაპაშვილის ოსტატობით გაიცნო, რომელიც ახალგაზრდობაში ქართულ ჭიდაობაში გამოირჩეოდა, მერე მამის კვალს გაჰყვნენ ბიჭიკო და შოთა. ბიჭიკომ სახელოვანი ფალავნებიც აღზარდა. მათ შორის - გელა საღირაშვილი, გიორგი გობეჯიშვილი, თედო ულუმბეგაშვილი და სხვები. შოთა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში, მრავალი წარმატება მოიპოვა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ვეტერან ფალავანს წლეულს დაბადებიდან 60 წელი უსრულდება. ამ თარიღს მიეძღვნა კადეტთა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც "შევარდენის" ჭიდაობის სპორტული სკოლის (დირექტორი როინ დობორჯგინიძე) თაოსნობით მოეწყო და "მართვეს" სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა. მონაწილეობდა საქართველოს 15 ქალაქისა და რაიო-ნის 226 ჭაბუკი ფალავანი.

გაცნობებთ გამარჯვებულებს: 23 კგ - რევაზ გორჩაძე (ოზურგე-

8346141 UDSUCCIO 9UJ9632

თი), 26 კგ - ლევან მურცხვალაძე (ონი), 29 კგ - თორნიკე ელიაშვილი (ხაშური), 32 კგ - რამაზ დარჩიძე (ქობულეთი), 35 კგ - ვახტანგ მთიულიშვილი, 38 კგ - აკაკი მო-წონელიძე, 42 კგ - ლაშა ტალახაძე, 46 კგ - ლევან ქელეხსაშვილი (ყველა ხაშური), 50 კგ - კოტე გავაშელი (ლევან თედიაშვილის სახელობის სკოლა), 54 კგ - ბექა პეტრიაშვილი (საგარეჯო), 58 კგ გოჩა ბერიძე (ნინონმინდა), 63 კგ რევაზ ივანიშვილი, 69 კგ - ფრიდონ თანიაშვილი (ორივე "შევარდენი"), 76 კგ - ნიკა ჩომახიძე (ხონი), 85 კგ - გიორგი ასლანიშვილი (ლევან თედიაშვილის სახელობის კლუბი), 100 კგ - გიორგი კვრიჭიშვილი (ყაზბეგი).

შალვა ძირია



LJ. L635M5

"სან ანტონიო სპურსი" ბოლო დეკადის ყველაზე სტაბილური და ნარმატებული გუნდია. მართალია, მასსავით სამჯერ ჩემპიონის ტიტული კობი ბრაიანტისა და შაკილ ონი-ლის "ლეიკერსმაც" მოიპოვა, მაგრამ მოგება-წაგების საერთო მაჩვენებლით გრეგ პოპოვიჩის ბიჭები კალიფორნიელებსაც უსწრებენ.

"სპურსს", თავის საფლეიოფო ისტორიაში ერთადერთი შავი ლაქა აქვს ჩარჩენილი - ტეხასელებს არასოდეს მოუგიათ სოლტ ლეიკ სიტიში და ფლეი ოფის ყველა სერიაში დამარცხ-დნენ ამ ქალაქის ბინადარ "ჯაზთან".

ამას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთაგან მაინც ორს გამოვარჩევთ - "სპურსი" რომ წინა საუკუნეში "ჯაზს" ხვდებოდა, მაშინ "იუტა" ამ გუნდისთვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლებოდა და არა მარტო ფლეი ოფში, არამედ რეგულარულშიც მაგრად ამწარებდა "სან ანტონიოს". გარდა ამისა, 1998 წლის მერე, ანუ მას შემდეგ, რაც "სპურსი" ტიმ დანკანის გუნდად იქცა, "იუტა" დაუძლურდა და ფლეი ოფშიც რამ-დენჯერმე ვერ გავიდა. მოკლედ, ამ გუნდების გზები არა და არ გადაიკვეთა

დღეს ეს გუნდები სუპერფინალის საგზურისთვის იბრძვი-ან და მიუხედავად იმისა, რომ აშკარა ფავორიტი "სპურსია", ბევრს ალალად უჭირს ტეხასელების იოლი გამარჯვების პროგნოზირება. ახლაც ფავორიტმა მოიგო, მისმა "დიდმა სა-მეულმა" (დანკანი-**მანუ ჯინობილი-ტონი პარკერი**) თავისი წილი ყველაფერი დააგროვა, მაგრამ ნამატჩევს "სპურსის" თავკაცი უკმაყოფილებას ვერ მალავდა და თავის გუნდს აკრიტიკებდა.



დერონ უილიამსი

ഗൗന്ദേഷത്തെ อบพอ๛กพ ควองกพองงก

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ V08330 125 JOA.68 (24 560 - 100,320 Jal 1. გადეა (ესპანეთი, "აპრილია") - 41:50.112; 2. პეშეკი (ჩეხეთი, "დერბი") - +0.478; 3. სმიტი (ინგლისი, "პონდა") - +2.963; 4. ტალმაში (უნგრეთი, "აპრილია") - +13.516;

საერთო ჩათვლა: 1. პეშეკი - 91 ქულა; 2. ტალმაში - 82; 3. ფაუბელი (ესპანეთი, "აპრილია") - 77; 4. კორსი (იტალია, "აპრილია") - 55; 5. გადეა - 46. 250 308.68 (26 640 - 108.680 38) 1. ლორენსო (ესპანეთი, "აპრილია") - 43:12.237; 2. დოვიციოზო (იტალია, "ჰონდა") - +0.156; 3. დე ანჯელისი (სან მარინო, "აპრილია") - +2.733; 4. ბარბერა (ესპანეთი, "აპრილია") - +5.971; 5. სიმონსი (ესპანეთი, "პონდა") - +6.111. საერთო ჩათვლა: 1. ლორენსო - 120 ქულა; 2. დოვიციოზო - 88; 3. დე ანჯელისი - 75; 4. ბაუტისტა (ესპანეთი, "აპრილია") - 64; 5. ბარბერა - 47. 1. ვერმიულენი (ავსტრალია, "სუძუკი") - 50:58.713; 2. მელანდრი (იტალია, "ჰონდა") - +12.549; 3. სტიუნერი (ავსტრალია, "დუკატი") - +27.347; 4. პედროსა (ესპანეთი, "ჰონდა") –+37.328; 5. **ჰოფმანი** (გერმანია, "ღუკატი") - +49.146. საერთო ჩათვლა: 1. სტოუნერი - 102 ქულა; 2. როსი (იტალია, "იამაჰა") - 81; 3.

อเศอฐกา หวองการงก 085200 KSZ0 WI 08530 1. გრონპოლმი ("ფორდი", ფინეთი) - 3:44,04,4; 2. **პირვონენი** ("ფორდი", ფინეთი) +0.30,5; 3. სორდო ("სიტროენი", ესპანეთი) - +1.22,7; 4. ჰ.სოლბერგი ("ფორდი" ნორვეგია) - +1.29,6; 5. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - +2.28,5; 6. გა**რდემაის**ტერი ("მიცუბიში", ფინეთი) - +4.55, 8; 7. შტოლი ("სიტროენი", ავსტრია) - +5.22,1; 8.

საერთო ჩათვლა: 1. გრონპოლმი - 55 ქულა; 2. ლოები ("სიტროენი", საფრანგე-თი) - 48; 3. პირვონენი - 44; 4. სორდო - 28; 5. პ.სოლბერგი - 20; 5. ჰ.სოლბერგი - 20; 7. ლატვალა ("ფორდი", ფინეთი) - 12; 7. ატკინსონი ("სუბარუ", ავსტრალია) - 12. კონსტრუქტორთა თასი: 1. ფორდი - 99 ქულა; 2. სიტროენი - 78; 3. სტობარტი

5. ოლივე (ესპანეთი, "აპრილია") - +13.845

პედროსა - 62; 4. მელანდრი - 61; 4. ვერმიულენი - 55.

ჰენინენი ("მიცუბიში", ფინეთი) - +9.27,5.

37; 4. სუბარუ - 34; 5. კრონოსი - 25.

"მოგება ფანებს გაამხიარულებთ, მე კი მხოლოდ ის დავი-ნახე, რომ მეორე ტაიმში "იუტა" რასაც სურდა, ყველაფერს აკეთებდა, ჩვენ კი ვიდექით და დაცვაში არ ვინძრეოდით", ბრდღვნიდა ყველაფერს გრეგი.

"სპურსმა" პირველ მეოთხედში მოთელვა რომ გაიარა, მეო-რე 12-ნუთეულში აბობოქრდა და დანკანის არაჩვეულებრივი თამაშის წყალობით, 18 ქულით დაწინაურება შეძლო. ტიმსა და მის თანაგუნდელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, "ჯაზის" ორ მაღალ მექულეს - მე**ჰმეთ ოქურსა** და კარლოს ბუზერს კი, არაფერი. ბუზერმა პირველ ორ მეოთხედში თამაშიდან 7-დან ერთადერთი სროლა გამოიყენა, ხოლო ოქურმა კი - 10-ში 3.

გამოცდილ "სპურსს" დიდი შესვენების მერე აღარ გასგიარკარი დაწყებული საქმის სათავისო დასასრულამდე მიყ-ვანა, ხოლო "ჯაზის" წევრებს კი სანუგეშოდ მხოლოდ ის შერ-ჩათ, რომ ბოლო ორ მეოთხედსა და მოხსნების საერთო რაოდენობაში (48:33) ჩემპიონობის მთავარ ფავორიტს აჯობეს.

"არ მესმის, რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო? იომა, მაგრამ გეკითხებით, ვინმე ამ გუნდისგან სხვა თამაშს ელოდა? კონფერენციის ფინალში შემთხვევით ვერავინ გადის. საბოლოო შედეგს რაც შეეხება, მგონი მოვიგეთ, არა?" - ასეთი კომენტარი გააკეთა ნამატჩევს დანკანმა, რომელმაც მეორე მეოთხედში 6 წუთში ხუთივე სროლა უშეცდომოდ შეასრულა.

ის, რომ მასპინძლებს დიდი შესვენების მერე დაღლილობა დაეტყოთ, რაც, ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ "სპურსს" იუტას" ნინააღმდეგ მატჩის გამართვა წინა შეხვედრიდან სულ რაღაც 39 საათის შემდეგ მოუხდა. თანაც ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა **დერონ უილიამსი**, რომელმაც გამთამაშებლების დუელში აჯობა პარკერს და 34 ქულით კარიერის რეკორდიც დაამყარა.

"სპურსი" სამაგალითო კალათპურთს თამაშოპს. ამ გუნდისგან ყველა დანარჩენს უამრავი ნიუანსის ათვისება შეუძლია. დღეს ჩვენი შანსები ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ დარწმუ-ნებული ვარ, რომ მეორე შეხვედრაში "ჯაზი" დასაწყისიდან-ვე აგრესიულად ითამაშებს", - მიაჩნია "იუტას" ხორვატ მსროლელს, გორდან გირიჩეკს, რომელმაც სერიის პირველი

ჯახი 13 წუთში 4 ქულითა და 2 მოხსნით დაასრულა.

"სან ანტონიოს" მხარს ლეგენდარული **დევიდ რობინსო-**ნიც უჭერდა, რომელმაც ამ სერიაში "სპურსის" ფანების აზრით საუკეთესო მოთამაშეს (ცხადია, თავისი ექს-გუნდიდან),
სპეციალური ჯილდო – "ჰამერის" ჯიპი დაუწესა. ბიჭებს დამატებითი სტიმული ექნებათო, უთქვამს წესიერების ეტალონად მიჩნეულ "ადმირალს". "სპურსმა" ამჯერადაც საშინლად შეასრულა საჯარიმოე-

ბი და 40-დან მხოლოდ 27 სროლა გამოიყენა, ხოლო ბოლო მე-ოთხედში ტეხასურმა გრანდმა ერთი პირობა 9-დან 7 ერთქულიანი ააცილა და სწორედ იმ მონაკვეთში შეამცირა "ჯაზმა"

18-ქულიანი ჩამორჩენა შვიდამდე. ასე რომ, სერია მოლოდინისამებრ "სპურსის" გამარჯვებით დაიწყო, თუმცა აქ ჯერ ყველაფერი წინ არის.

രാഗായമാവന

LJE 7E9WEUM (3)-UA97 (2) 108:100

23:20, 31:16, 24:26, 30:38

სან ანტონიო: დანკანი (27 ქ. 10 მ. 5 პ. 2 დ), ჯინობილი (23 ქ. 10 პ. 4 მ), გ. პარკერი (21 ქ. 6 პ. 3 ჩ), ობერტო (14 ქ. 7 მ), ფინლი (14 ქ. 2 დ). იუტა: დ. უილიამსი (34 ქ. 9 პ. 7 მ), ბუზერი (20 ქ. 12 მ), ოქური (10 ქ. 6 მ. 2 დ), ჰარპრინგი (10 ქ. 3 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ 1:0

ზურა მ თალაკვაკე

adcombamáa



მესერეტ დეფარი

&760608080

MODIFICA **41977411**

ლოს ან%ელესის სატელიტ ქალაქ კერსონში ჩატარებულ "ადიდას ტრეკ კლასიკზე", ეთიოპიელმა **მესერეტ დე**ფარმა მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა ორ მილზე (დაახლოებით 3.2 კილო-მეტრი) სირბილში. მიუხედავად იმისა, რომ დეფარმა სტარტამდე სათანადო გახურეპა ვერ მოასწრო, მან მაინც შესანიშნავად იასპარეზა და ფინიშს სარე-კორდო დროში - 9 წუთსა და 10.47 წამში

აღსანიშნავია, რომ მძლეოსნობის ფერაციათა საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) ორმილიან დისტანციაზე რეკორდებს ოფიციალურად არ აფიქსირებს, თუმცა სტატისტიკოსები აღრიცხვას მა-ინც აწარმოებენ. მათი მონაცემებით კი, წინა რეკორდი ამერიკელ **რეჯინა ჯე-კობსს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1999 წელს ეს დისტანცია 9 წუთსა და 11.97 ნამში გაირბინა.

ნარბოლევს დეფარი ყვებოდა, რომ სეზონისთვის კარგად მოემზადა, მაგრამ რეკორდზე არც კი უფიქრია, რადგან შე-ჯიბრის დაწყებამდე მას რამდენჯერმე პირღებინება ჰქონდა. დილით შემწვარი, დაკეპილი ხორცი, ყველი და პური ვჭამე და ზედ ფორთოხლის წვენი დავაყოლე და ალპათ მათგან რომელიმემ მაწყინაო, - განუცხადა ჟურნალისტებს მორბენალ-მა, ვინც ათენის ოლიმპიადაზე, 5 000 მეტრზე სირიბლში ოქროს მედალს დაე-

კაცების 100 მეტრზე სპრინტში ბრწყინვალე დრო აჩვენა ამერიკელმა ტაისონ გეიმ, რომელმაც ფინიშის ხაზი 9.79 წამში გადაკვეთა. ეს იამაიკელი ასაფა პაუელის მსოფლიო რეკორდზე (9.77 წამი) ნაკლები კია, მაგრამ მიმდინარე სეზონში ასე სწრაფად არავის ურბენია თუმცა, დასაშვებზე ძლიერი ზურგქარის გამო, გეის მიერ ნაჩვენები შედეგი სეზონის საუკეთესო დროდ არ დაფიქსირდა.

კერსონშივე იასპარეზა ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამა შების ყოფილმა ჩემპიონმა მორის გრინმა, ვისთვისაც ეს მიმდინარე სეზონში სულ მეორე გამოსვლა იყო. გრინმა თავის ჰიტში მეექვსე დრო (10.84 წამი) აჩვენა და, რა თქმა უნდა, ფინალამდე ვერ მიაღნია.

"ამ ეტაპზე ჩემი გამოსვლებიდან ბევრს ნურაფერს ელით, რადგან ფეხებში საჭირო ძალას ჯერაც ვერ ეგრძნობ. თუმცა, გარწმუნებთ, თანდათან შევალ ფორმაში და ამერიკის ჩემპიონაც ზე პირფოოისამი და აიქოიკის იეძმიობატ მე პირ-ველობისთვის ვიბრძოლებ. რა თქმა ჯენ-და, თუ რაიმე პრობლემა ხელს არ შემიშ-ლის, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაპირებ გამოსვლას და გამარჯვებისთვის ბრძო-ლას", - განაცხადა 32 წლის გრინმა, ვი-საც თითქის მთელი შარშანდელი სეზონი ტერფის ტრავმის გამო გაუცდა. შეგახსენებთ, რომ გრინმა მსოფლი-

ის რეკორდი 1999 წელს დაამყარა - ასი მეტრი 9.79 წამში გაირბინა, მაგრამ უკვე სამი სეზონია, თავი ვერაფრით გამოუჩე-ნია, რისი მთავარი მიზეზიც ხშირი ტრავ-

პარალელურად, ბრაზილიის ქალაქ ბელემში ჩატარებულ ბრაზილიის დიდ პრიზზე, სამხტომში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა და იმავდროულად, სამხერთ ამერიკის რეკორდიც გააუმჯობესა ბრაზილიელმა **ჟადელ გრეგურიომ** 20 000 მაყურებლის წინაშე, ის 17.90 მეტრზე გადახტა

ალსანიშნავია, რომ აქამდე სამხტომის რეკორდი ყველაზე ძველი იყო სამხ-რეთ ამერიკის სამძლეოსნო რეკორდებს შორის. წინა რეკორდი (17.89 მეტრი) 1975 წლის 15 ოქტომბერს, მექსიკოში ასპარეზობისას, გრეგურიოს სახელოვანმა თა-ნამემამულემ, **ჟოაო კარლოს ოლივეი**რამ დაამყარა

ᲛეᲠᲐᲒ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

amaaaann

ᲠᲔᲘ&ᲘᲜᲒᲔᲑᲘ

ATP-NL ᲠᲔᲘᲒᲘᲜᲒᲘ	
1(1).	751
2(2). ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (ᲔᲡᲞ)	522
3(4).	293
4(3). ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲔᲜᲙᲝ (Რ'JᲡ)	290
5(5). ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ (Ჩ ᲘᲚ)	281
6(6). 6M353 3KM3M3NRN (LOK)	281
7(8). በ3ᲐᲜ ᲚᲣᲑᲘᲩᲘᲩᲘ (ᲮᲝᲠ)	226
8(9). ᲯᲔᲘᲛᲡ ᲒᲚᲔᲘᲙᲘ (ᲐᲨᲨ)	218
୨(७). ୭୯୮ ନମ୍ପର ଜମଧ୍ୟ ଓଡ଼ିଆ (୬୯୬)	210
10(11). ტომი ჰბასი (გერ)	209
11(10). 06ᲓᲘ მᲐᲠᲔᲘ (ᲒᲠᲘᲢ)	209
12(12).	202
13(13). რიშარ გასპე (სბფ)	190
14(14).	172
15(15). მიხაილ იუჟნი (რუს)	168
16(21). ლეიტონ ჰიუიტი (ბმსტრბ)	148
17(16). მბრიო	142
18(17).	141
19(18). მბრპᲝᲡ გბᲦᲓᲐᲢᲘᲡᲘ (ᲙᲕᲘ)	137
20(19).	135

20(19).	1355
MTA-L MONONEAN	
1(1). ჟესტ06	4119
2(2). ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ (ᲠᲣᲡ)	3388
3(3). ს3ეტლანა პუზნეცოვა (რუს)	3032
4(5). ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ (ᲡᲔᲠ)	2727
5(4). ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (ᲡᲐᲤ)	2702
6(6). 8368063 3068060 (83008)	199
7(7). ᲜᲘᲙᲝᲚ ᲕᲐᲘᲓᲘᲨᲝᲕᲐ (ᲩᲔᲮ)	1933
8(8). ᲐᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ (ᲡᲔᲠ)	1906
9(11). ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (ᲐᲨᲨ)	1880
10(10). ბნბ ჩბპმეტბძე (რუს)	1866
11(9).	1798
12(12). ᲜᲐᲓᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲐ (ᲠᲣᲡ)	1772
13(14). ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢ ᲣᲮᲝᲕᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐ Ა)	1769
14(13). ელენბ	1635
15(17). პატი შნიდირი (შმიიც)	1525
16(15). შბბრ პეერე (ესრ)	1483
17(16).	1390
18(18). 65 ლი (806)	128
19(19). 30რა ზ3Ო6არ03ა (რუს)	1236
20(20). ᲙᲐᲢ. ᲡᲠᲔᲑᲝᲢᲜᲘᲙᲘ (ᲡᲚᲝᲕᲔᲜ)	1000

PMSA Mamneeched Ju-ata	শ ১
1(1). ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲜᲐᲓᲐᲚᲘ (ᲔᲡᲞ)	53.
2(2), ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪ)	46
3(3). 6M35J %MJM30R0 (LOK)	37
4(4). ชอด ₆ 556で円 る円6いるでつい(60で)	26
5(5).	22
6(6). ენᲓᲘ მარეᲘ (გრეტ)	21
7(8). በ356 ᲚᲣᲑᲘᲩᲘᲩᲘ (ᲮᲝᲠ)	21
8(7). & M30 ჰ১১ს೧ (გერ)	21
୨(10). ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘ ᲓᲐᲕᲘᲓᲔᲜᲙᲝ (ᲠଅᲡ)	20
10(13).	19
11(11).	19
12(9). ᲛᲘᲮᲐᲘᲚ ᲘᲣᲥᲜᲘ (ᲠᲣᲡ)	18
13(12). ക്നദറ നെർക്കായ്ന (ᲔᲡ३)	17
14(14).	17
15(15). რიშარ გასპე (საფ)	15
16(16). პბრᲚᲝᲡ ᲛᲝᲘბ (ᲔᲡᲞ)	14
17(16). ᲢᲝᲛᲐᲡ ᲑᲔᲠᲓᲘᲩᲘ (ᲩᲔ Ხ)	14
17(17).	14
19(18). ¾000L ðᲚ00J0 (ððð)	14
20(19). მარპოს გალდატისი (პ3ი)	12

20(19). 801901 10 00-10011011 (0011)	12-
MTA-L LJADON MEMON MANU	ಷು
1. ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘ Ჩ Ი (ᲡᲔᲠ)	2095
2. ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲐ (Რ <i>Უ</i> Ს)	1661
3. სერენა უილიამსი (აშშ)	1641
4. ჟუსტინ ანმნი (გელ)	1520
5. ბნბ	1246
6. ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢ Უ ᲮᲝᲕᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙ)	1133
7. ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲐ ᲰᲘᲜᲒᲘᲡᲘ (ᲨᲕᲔᲘᲪ)	1096
8. ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐ (ᲠᲣᲡ)	1071
9. ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ (Რ Უ Ს)	1030
10. ნაღია პეტროვა (რუს)	1021
11. ბნბ ჩბძმეტბძე (რუს)	1015
12. შბბრ პეერი (ისრ)	922
13. ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (ᲡᲐᲤ)	886
14. 	865
15. 603MᲚ 350Დ07M35 (ROb)	851
16. 65 CO (806)	777
17. სიგილ გამერი (ავსტრია)	670
18. 35&0 760യാഗെ (7300)	664
19. ლუსი საფაროვა (ჩიხ)	650
20. 30რა ზ3Ო6არ03ა (რუს)	637

മാഹാഭധ ഉപ്പോഴായ	
1.	1 988 870
2.	1 933 695
3. ᲜᲝᲕᲐᲙ Კ ᲝᲙᲝᲕᲘᲩᲘ (ᲡᲔᲠ)	1 226 815
4. ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲒᲝᲜᲡᲐᲚᲔᲡᲘ (ᲩᲘᲚ)	795 530
5. ტომი ჰბასი (გერ)	595 590
6. ᲘᲕᲐᲜ ᲚᲣᲑᲘᲩᲘᲩᲘ (ᲮᲝᲠ)	586 245
7. მიხაილ იუჟნი (რუს)	582 485
8. ପଟେମ ନମ୍ମଦ୍ରମଧ୍ୟ (ଧଅଞ୍ଚ)	565 640
9. ට©ෙ	544 955
10. ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲐᲜᲘᲐᲡᲘ (ᲐᲠᲒ)	492 650
11. ᲮᲣᲐᲜ ᲘᲒᲜᲐᲡᲘᲝ ᲩᲔᲚᲐ (ᲐᲠᲒ)	469 700
12.	461 835
12. ᲛᲐᲘᲙ ᲒᲠᲐᲘᲐᲜᲘ (ᲐᲨᲨ)	461 835
14. 60Jෆლაი	449 830
15. ᲓᲐᲕᲘᲓ ᲤᲔᲠᲔᲠᲘ (ᲔᲡᲞ)	428 737
16. &ᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔ ᲓᲝ (ᲔᲡᲞ)	401 627
17. რიშარ გასპე (საფ)	337 780
18. Კ ᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲘᲐ (ᲔᲡᲞ)	336 345
19. & M353 30%@080 (808)	325 990
20. ሜሪኔᲠበᲡ ᲡᲐᲜᲢᲝᲠᲝ (ᲡᲐᲤ)	307 675

क्षत्रद्रगता वाक्षाक्रम्	
1. ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ (ᲐᲨᲨ)	1 468 478
2. ჟუსტინ ანმნი (გელ)	860 200
3. ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲐᲜᲙᲝᲕᲘ Ჩ Ი (ᲡᲔᲠ)	764 572
4. ს3ეტლანა კუზნეცოვა (რუს)	701 381
5. ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲐ ᲰᲐᲜᲢ ᲣᲮᲝᲕᲐ (ᲡᲚᲝᲕᲐᲙ)	613 618
6. ᲛᲐᲠᲘᲐ ᲨᲐᲠᲐᲞᲝᲕᲐ (Რ <i>Უ</i> Ს)	575 677
7. მარტინა ჰინბისი (შ30იც)	495 814
8. ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ (ᲒᲔᲚ)	414 159
9. ᲐᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ Ჩ Ი (ᲡᲔᲠ)	412 051
10. ᲜᲘᲙᲝᲚ 3 ᲐᲘᲓᲘᲨᲝᲕᲐ (ᲩᲔᲮ)	382 176
11. შბბრ პ00რ0 (0სრ)	365 974
12. ბნბ ჩბპ30ტბძ0 (რუს)	360 452
13. ᲐᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲠᲔᲡᲛᲝ (ᲡᲐᲤ)	336 374
14. ᲜᲐᲓᲘᲐ Პ ᲔᲢᲠᲝᲕᲐ (ᲠᲣᲡ)	333 926
15. სამანტა სტოსური (ამტრა)	328 762
16. ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐ (ᲠᲣᲡ)	324 378
17. ლበዔዐლ ᲰᲣᲑᲔᲠᲘ (Ს.ᲐᲤᲠ)	304 474
18. ᲙᲐᲠᲐ ᲒᲚᲔᲙᲘ (ᲖᲘᲛ)	293 257
19. 6১ ლ0 (806)	287 603
20. ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ (ᲡᲐᲤ)	261 983

412660 2010 612011

279U 334 97964

ᲓᲔᲒᲠᲝᲘᲒᲘ (1)-ᲐᲜᲐᲞᲐᲘᲛ (2) 1:2 (M) 0:0, 1:0, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ლილია-1 (კლირი-8), 1:1 ს. ნიდერმაიერი-3 (სელიანე-6, პრონგერი-10), 1:2 სელიანე-5.

6060523

"დეტროიტს" 48 წამი არ ეყო იმისთ- ვის, რომ სერიაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოეპოვებინა. მთელი მატ-ჩის განმავლობაში დაცვაში შესანიშნავად მოთამაშე "რედ უინგზმა", კარის სიახლოვეს უმეთვალყურეოდ დატოვა სკოტ ნიდერმაიერი და მანაც შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო. ამ დროს, სტუმრებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ.

ძირითად დროში, "ანაჰაიმი" ზედმეტად ფრთხილად თამაშობდა და 60 წუთის განმავლობაში მხოლოდ 18-ჯერ დაარტყა ზუსტად დომინიკ ჰაშეკის კარის მიმართულებით. ამ მხრივ, გაცილებით აქტიურნი იქვნენ მასპინძლები -"დაქსის" კარის დარაჯს **ჟან-სეპასტი**ან ჟიგერს 33 დარტყმის მოგერიება მო-

მან მხოლოდ ერთ ეპიზოდში ვერ შეძლო თავისი გუნდის გადარჩენა. მე-ორე პერიოდში, "დეტროიტის" შვედმა მცველმა **ანდრეას ლილიამ** შორი მანძილიდან აიღო ჟიგერის კარი. მასპინძლებს ის 48 წამი რომ გაეძლოთ, ლილია ჰაშეკთან ერთად, მატჩის გმირად გამოცხადდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ მცველი შეხვედრის მთავარ ანტიგმირად მოინათლა.

ოვერტაიმში უკვე სტუმრების უპირატესობა იყო გამოკვეთილი, რაც დარტყმების რაოდენობაშიც გამოიხა-ტა - 8:3 "იხვების" სასარგებლოდ. კვანძი ოვერტაიმის მე-12 წუთზე გაიხსნა. ლილიამ საკუთარ ზონაში, რატომღაც,



დიდი არეულობა პაშეკის კართან

მეტოქე ფორვარდის - **ენდი მაკდო**ნალდის მოტყუება გადაწყვიტა, შაიბა დაკარგა და ტეემუ სელიანეს ჰაშეკთან პირისპირ გასვლის საშუალება მისცა. გამოცდილმა თავდამსხმელმა იოლად მოატყუა ჩეხი მეკარე და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოუპოვა "ანაჰაიმს". ამ უკანასკნელს ერთი გამარჯვება აკლია სტენლის თასის ფინალში გასასვლელად. თანაც, სერიის მეექვსე მატჩი, სწორედ "დაქსის" მოედანზე გაიმართება

"ეს ძალიან საჭირო გამარჯვება იყო. ჩემთვის ეს გოლი, ჯერჯერობით, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ სეზონში. ბოლო წუთამდე ვაგებდით, მაგრამ სკოტ ნიდერმაიერმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. სწორედ ამ დროს შევძელით თამაშში გარდატეხის შეტანა", - ამბობდა მატჩის შემდეგ სელიანე, რომელმაც გამარჯვების გოლს, ერთი შედეგიანი პასიც დაუმატა.

სელიანესთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჟიგერის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ჯამში 36 დარტყმა მოიგერია და წლევანდელ ფლეი ოფში

მე-12 გამარჯვებას მიაღწია.
"დეტროიტმა" კი, ცუდად ითამაშა
რიცხობრივი უპირატესობისას და შვიდი ასეთი შანსიდან ვერცერთი ვერ გამოიყენა.

ასე რომ, თუ ორი დღის შემდეგ, "ანაჰაიმი" საკუთარ მოედანზე დაამარცხებს მეტოქეს, თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ ითამაშებს სტენ-ლის თასის ფინალში. პირველად ეს 2003 წელს მოხდა. მაშინაც, კონფერენ-ციის ფინალში "იხვებმა" "დეტროიტი" დაამარცხეს, ხოლო მათი მწვრთნელი, "რედ უინგზის" ამჟამინდელი დამრიგებელი - მაიკ ბებკოკი იყო.

33CML3M66A

3<0

к

М

%

о

о

о<

პიროფიტალიაზე ახლა სპრინტერული ეტაპების დროა. ველომრბოლები შე-დარებით იოლი ეტაპების დროს ძალებს ინახავენ, რათა სამთო რბოლებში იბრძოლონ მალია როსასთვის (ვარდისფერი მაისურისთვის). თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ეტაპები საინტერესო არ იყო. პირიქით, მორიგი სამი ეტაპი საინტერესო პაექრობით ალინიშნა და მათგან ერთის (მერვეს) შემდეგ, კინაღამ ლიდერიც შეიცვალა.

მეშვიდე ეტაპი მუჯელოს ავტოდრომზე დასრულდა. მისი გამარჯვებული კი ფო-ტოფინიშმა გამოავლინა. იტალიელმა **ალე**სანდრო პეტაკიმ სწორედ კომპიუტერის ჩვენების საფუძველზე აჯობა ნორვეგიელ თორ ჰუსჰოვდს და მიმდინარე ჯიროზე მეორე გამარჯვება იზეიმა. რა თქმა უნდა, პეტაკი მომდევნო ორ ეტაპზეც ფავორიტთა შორის იყო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ხელი მოეცარა.

აღსანიშნავია, რომ მეშვიდე ეტაპი წლევანდელ ჯიროზე ყველაზე გრძელი იყო. საერთოდ, გრძელ ეტაპებზე პეტაკი ვერ ახერხებს ხოლმე თავის გამოჩენას, მაგრამ ამჯერად, თავისი თანაგუნდელების შეთანხმებული მოქმედების წყალო-ბით მიაღწია საწადელს. პეტაკის მიერ



ნაპოლიტანო გამარჯვებას ზეიმობს

ჯიროზე მოპოვებული 21-ე გამარჯვე-ბაა, სულ კი მას კარიერაში 123 რბოლა აქვს მოგებული.

პეტაკისგან განსხვავებით, რბოლებს იშვიათად იგებს ნორვეგიელი კურტ-ასლე არვესენი, მაგრამ როცა იგებს, თითქოს ყოველთვის სახელოვან მეტოქეებს ამარცხებს. ასე იყო მერვე ეტაპზეც, რო-მელიც სპრინტერული ფინიშით კი დასრულდა, მაგრამ ამ სპრინტში ძირითადი ჯგუფი და მასთან ერთად, "მალია რო-საც" არ იყო გარეული.

ფინიშთან პირველად 22-კაციანი ჯგუფი მივიდა, რომელშიც ფავორიტთაგან მხოლოდ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მოქმედი ჩემპიონი, იტალიელი პაოლო ბეტინი იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, ყველა (თავადაც) ელოდა, რომ სწორედ ის მოიგებდა ეტაპს, მაგრამ ასე არ მოხდა. იმ დროს, როდესაც ბეტინის ეგონა, რომ პირველობას ვერავინ წაართმევ-და, სწორედ მაშინ გაუარა მას არვესენმა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა, რითაც ბეტინის გამარჯვების აღსანიშნავად მომარჯვებული ხელი გაუშეშა. აღსანიშნავია, რომ არვესენს 1997

წელს, 23-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანელი **ოსკარ ფრეირე** ჰყავს დამარცხებული. მას შემდეგ, ნორვეგიე ლი იშვიათად ახერხებს თავის გამოჩენას, ფრეირე კი პროფესიონალებში მსოფლიოს ჩემპიონი სამჯერ გახდა.

მერვე ეტაპი იმითაც იყო საინტერესო, მარკო პინოტის უპირატესობა უახლოეს მდევართან (ამჯერად იტალიელ **ანდრეა** ნოესთან) ნახევარ ნუთამდე შეუმცირდა.

გუშინდელი ეტაპი კი იტალიელმა დანილო ნაპოლიტანომ მოიგო, რომელმაც საფინიშო სპურტში პეტაკისა და სპრინტის ავსტრალიელ სპეც **რობი მა-**კიუენს აჯობა. გუშინ პელოტონს ერთი მეორე კატეგორიის სამთო მონაკვეთის გავლა მოუხდა, მაგრამ ფინიში მაინც სპრინტერული იყო. თითქოს, პეტაკის ხელსაყრელი პოზიცია ეკავა, მაგრამ მა-ლე დაიღალა და სანამ ფინიშის ხაზს გადაკვეთდა, წინ ორი მეტოქე - ნაპოლიტანო და მაკიუენი გაუშვა.

Მ_ᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

20-7 08530. L3M208M256 LJ3633603893 (254J3)

სძარკპ/რ/სპმΨ3 (254/d3)

1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) 6:14.44 (40.668 კმ/სთ); 2. თორ პუსპოვდი (ნორვე-გია, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 3. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 4. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტა-ლი); 5. ხოსე ხოაკინ როხას ხილი (ესპანეთი, კაისე დ 'ეპარნი); 6. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი); 7. მაქსიმილიანო რიკეზე (არ-გენტინა, კერამიკა პანარია); 8. ენრიკო გასპაროტო (იტალია, ლიკიგაზი); 7. ასან ბაზიკეი (ცაზანეთი, ასტანა); 10. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-უუსკადი) ყველა იგივე დროში... ეუსკალტელ-ეუსკადი) ყველა იგივე დროში..

> 30-8 J&J30. 87327 M956 30MK72W93 (500 39)

ფის ი ფიკის ი ფიკის ი ფიკის ი გალია განეს ი გალია განეს ი განეს ი განეს ი განები განე

ᲛᲔ-9 ᲔᲢᲐᲞᲘ. ᲠᲔ**Ვ**୯Ო ᲜᲔᲚ'ᲔᲛᲘᲚᲘᲐᲓᲐᲜ **型の関係の よりもりの (177 よも)**

1. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 4:57.08 (35.74 (3/სთ); 2. რობი მაკი-უენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) იგივე დროში; 3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრა-მი); 4. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერ-გეტიკი); 5. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, ეუს-კალტელ-უუსკადი); 6. თორ პუსპოვდი (ნორვე-იგივე დროში...

3577930333307838383307839838

კლასიფიკაცია 8 ეტაპის შემდეგ 1. მარკო პინოტი (იტალია, T-მობილი) 39:45.42; 2. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 0.28; 3. სერგეი იაკოვლევი (ცაზახეთი, ასტანა) 0.54; 4. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 1.06; 5. ფრანსისკო ხავიერ ვილა ერანდონეა (ცაბანეთი, ღამპრე-ფონდიტალი) 1.10; 6. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 1.36; 7. დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.43; 8. ვეგენი პეტროვი (რუსეთი, TCS) 1.51; 9. დავიდ დარიო ჩონი (იტალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.13; 10. ალექსანდრ არეკევი (რუსეთი, აკვა ე საპონე) 2.17...

22 องกษก. ษงอฮงชงตก

HTB-35360 (33683600)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. 14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის

15:10 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.

16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფლეი

18:10 ლიბერტადორესის თასი. მიმო-

18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

19:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მი-

20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

22:15 ჩემპიონთა ლიგა. 2005 წელი. ფინალი. მილანი-ლივერპული.

SPORT 1 (DJAMBA)

08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა. **09:00** სპორტინფორმი.

09:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის

09:35 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მი-

10:10 სპორტინფორმი.

10:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.

12:45 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონა-

14:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანანესე-ინტერნასიონა-

16:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008. 16:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონა-

18:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონა-ტი. ტურის მიმოხილვა.

19:30 სპორტინფორმი.

19:45 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მი-

21:40 სპორტინფორმი.

22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონა-ტი. ტურის მიმოხილვა. 23:00 სპორტინფორმი.

23:15 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1981 წ. ფინალი. ტოტენპემი-მანჩესტერ სიტი.

01:00 სპორტინფორმი.

01:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონა-

02:55 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლში. შვედეთი. 05:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიო-

ნატი. ატ. პარანანესე-ინტერნასიონა-

EUROSPORT

10:30 მულგისპორტის 1935 3 2 1 11:00 ჩოგბურთი. გზა როლან გარრესის ქ

11:15 ფეხბურთი. უეფა თასი. ფინალი.

სევილია-ესპანიოლი. 12:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმო-

13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპულიჩელსი.

14:00 მულტისპორტი.

14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.

16:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IX 2/8030.

17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X

ეტაპი (LIVE). 19:30 ჩოგბურთი. როლან გაროსის ლეგენდები. მონაკა სელეში-შტეფი გრა-

20:30 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი. 21:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმო-

22:15 პროფესიული კრივი. ს. იბრაჰიმოვი (რუსეთი)-ხ. მორა (მექსიკა). ნიუ

იორკი. აშშ. 23:00 პროფესიული კრივი. WBA. ნ. ვა-ლუევი (რუსეთი)-რ. ჩაგაევი (უზბეკე-

თი). შტუტგარტი. გერმანია.

01:00 ავტოსპორტი. FIA WTCC. ტელე-

01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი.

02:30 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.

12:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. II მატჩი. ვალენსია-

13:00 ავსტრალიური ფეხბურთი.

14:00 ახალი ამბები.

16:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. II მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლადა (რუსეთი)

17:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. II მატჩი. ვალენსია-

18:00 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.

19:00 ავსტრალიური,ფეხბურთი. 20:00 ახალი ამბები.

20:30 ექსტრემალური სპორტი. 21:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიო-

ნატი. მიმოხილვა

22:00 ახალი ამბები.

22:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთის გრან პრი. ლე მანი. 00:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელია-ნიუ ორლეა-

01:00 ახალი ამბები. 01:15 პრო-რესტლინგი. 02:15 ახალი ამბები.

ubich bich

മാഴാപ്പ	-
aaaeann	
งกง-งงตอบชงตก	1:1
3)UP-7)ご3)やU	0:3
&43C3M480-0348M4C360	0:3
II RUSUAULEU	
38304392490-6207630763	3:0
とうしょうしゅうしゅうしゅう	4:1
DEBNIAMENTARIO	1:3
もっこうとうとう こうしゅう こうしゅう しょうしゅう しょうしゅう はんしょう はんしょう はんしゅう はんしゅう しゅう しゅう しゅう しゅう しゅう しゅう しゅう しゅう しゅう	2:1
いしころり しゅうしゅう	0:4
aveanu	
3U337-393	1:0
146.7966U7	
L8. 338LN-CAMBOCS	1:0
, บค๘७୧๔५०	
37-77ペ763PU	1:0
AJLJON	
<u> ልፋ</u> ይጠ-JლJሮይጠ	1:0
5000000000000000000000000000000000000	2:0
3MG80-8M53C530	1:1
เบรรว-ครวพรว	0:2
COUCHUCACY-UFUSCO	5:1
3CL80EU-U79CL8U	1:0
いたい303-950EU	2:1
UCCM33BJM-3ABNAA3BN	2:0
368A301N	

NONC66MA

ATP. അവായന്ദ്രേക്കി		
რდიჩი- ფერერი	1:6, 3:6	
ნსალესი -ბლეიკი	6:4, 7:5	
აუ-ფიში	6:4, 7:6	
იეკი-სალვა ვიდალი	6:2, 6:4	

ATP. 3MASSAM

ლი-უდომჩოკე	6:3, 6:0
მონტანიესი-ბრაჩიალი	6:0, 6:4
როდიკი -პეია	6:4, 7:5
ბერლოკი- პლესი	3:6, 3:6
მირნი-მონკური	4:6, 4:6
სტარაჩე -კუბეკი	6:4, 6:4
ორნა-დოლგოპოლოვი	6:3, 6:0
ლუბიჩიჩი-დელიჩი	7:5, 7:6
მონფილსი-კერი	6:4, 7:5
WTA. L&Jaane	30

პონდარენკო-ოზვენი 6:1,6:0

7 0 0	
ეზაი -ობზილერი	6:3, 6:1
ირონკოვა -გოვორცოვა	6:4, 2:6, 6:2
ვედოვა- კოსტანიჩი	6:2, 3:6, 4:6

WTA. 686363360

ლი-პესკირიჩი	6:3, 6:3
დუშევინა -კნაპი	6:4, 6:4
ბარდინა- ლეპჩენკო	6:3, 3:6, 4:6
ლუა-სუნი	7:5, 6:3
მორიგამი-მაესი	5:7, 4:6

3060L0L ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘL ᲬᲘᲒᲜᲘ

130C16. 430C16. 430C1

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ <u> ყოველწლიურად 60 ათასი განაცხადი ფედის</u>

ლონლონში, რეგენტს-პარკის ახლოს, ქალაქის არც ისე პრეზენტაბელურ რაიონში ერთი მოკრძალებული ოფისი მდებარეობს. ვერც კი მიხვდები, რომ აქ გამოიცემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი. აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, მას ყოველწლიურად თავიდან წერენ და პრაქტიკულად, მთელი ამ დროის განმავლობაში, ის ტირაჟით პირველ ადგილს იკავებს. მხედველობაში გვაქვს - გინესის რეკორდების წიგნი. მისი გმირები დედამიწის უბრალო მაცხოვრებლები არიან, თანაც ბევრი მათგანი იქ ისე მოხვდა, რომ თავადაც არ იცოდა ამის შესახებ. მაგალითად, რობერტ პერშინგ უოდლოუ, ისტორიაში ყველაზე მაღალი ადამიანი, რომლის დოკუმენტურად დადასტურებული სიმაღლე 2 მეტრსა და 72 სანტიმეტრს უდრის. რედაქციაში შესვლისთანავე, პირველი სწორედ უოდლოუს მუყაოს ფიგურა შეგხვდებათ. მაგრამ ამ ადამიანის მაგალითი გამონაკლისია, თუმცა, არა ერთადერთი. ამ წიგნში მოსახვედრად, მათი გმირების უმრავლესობას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. ბევრმა ამისთვის შეუძლებელიც კი გააკეთა.

3060 45550 830~5%0 85k06%0?

ბოლო წლებში, წიგნის მთავარი რედაქტორის პოსტს საოცრად მოძრავი და ენერგიული შოტლანდიელი - კრეიგ გლენდეი იკავებს. საყვარელ საქმეზე მას შეუძლია საათობით ილაპარაკოს. გლენდეი ჟურნალისტებს თავის კაბინეტში ინვევს, ყავასა და ფუნთუშებს უკვეთავს და იქვე სთავაზობს სტუმარს, რომ ე! ნასკნელი თავად მოხვდეს რეკორდების ნიგნის ფურცლებზე. ამისთვის, ერთერთ ყველაზე პოპულარულ "დისციპლირეკორდის დამყარებისკენ უბიძგებს. ეს არის დროზე ფუნთუშების ჭამა.


რამდენიმე წლის წინათ, თავად ვიყავი ამ დისციპლინაში რეკორდსმენი, - ლი მილით ჰყვება რედაქტორი. - მაგრამ სულ მალე, ერთმა ახალგაზრდამ დაამხო ჩემი რეკორდი: სამ წუთში შვიდი ფუნთუშა გადაყლაპა.

რომელი სპორტული მიღნევა მიგაჩნიათ ყველაზე უცნაურად?

- რთული შეკითხვაა. პირველ რიგში, მახსენდება იაპონელი ექსტრემალების



პერშინგ უოდლოუ 272 სანტიმეტრი იყო



გართობა, რომელსაც "ბანზაი სქაი-დაივინგი" ჰქვია. პარაშუტით კლასიკური ხტომებისგან ის იმით განსხვავდება, რომ პარაშუტი და ადამიანი 3 კილომეტრ სიმაღლეზე თვითმფრინავს ცალ-ცალკე ტოვებენ. სპორტსმენის მიზანია - დაეწიოს მხსნელ პარაშუტს, ჰაერში ჩაიცვას და შემდეგ მოასწროს მისი გახსნა. ეს არის ერთერთი დისციპლინა, რომელშიც დამოუკიდებლად მონაწილეობას არავის ვურჩევთ. - ყველაზე ხალისიანი რეკორდი რო-

მელია?

- ასეთი ბევრია. მაგალითად, ფინეთში, რომელიც პირველ ადგილზეა ერთ მოსახლეზე დაფიქსირებული რეკორდების რაოდენობით, ყოველწლიურად იმართება შეჯიბრი მობილური ტელეფონის ყველაზე შორს გატყორცნაში. ამერიკაში ბალი შებით ჩხუბობენ, ავსტრალიაში ცხვრებს ითვლიან, გერმანიაში ულვაშებისა და წვერის სწრაფად გაპარსვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. კალიფორნიაში კი, რეგულარულად ეწყობა კონკურსი ყველაზე მახინჯი ძაღლის გამოსავლენად. მოკლედ, ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება

- სპორტთან დაკავშირებული, რომე-ლია რეკორდია ყველაზე "ასაკოვანი"?

- ალბათ, ეს რეკორდი "მარაკანას" სტადიონს ეკუთვნის. ის 1954 წელს აშენდა და დღემდე მსოფლიოს ყველაზე დიდ საფეხბურთო არენად არის მიჩნეული. შეიძლება დასახელდეს "ტურ დე ფრან-სი" - თანამედროვე სპორტში ყველაზე ძველი ველორბოლა.

35E35 CMO GROEUS.

დღეს ამის დაჯერება ძნელია, მაგრამ "გინესის წიგნის" პირველი გამოცემა, რომელიც 1955 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა, პაბებში საკითხავად იყო გან საზღვრული. უფრო ზუსტად, იმ დავებისა და საკამათო სიტუაციების გადასაჭრელად, რომელიც ძლიერი სასმელის მიღებისას წარმოიშვება.

"ნიგნის დამაარსებლად ითვლება სერ სიუ ვივერი, რომელიც გასული საუკუნის შუაში, ლუდის სახარში ქსელის - "გინესის" ხელმძღვანელი იყო, - ჰყვება გლენდეი. ერთხელ, ირლანდიაში ნადირობის დროს, სერი ჰიუმ რომელიღაც ფრინველის მოკვლა ვერ შეძლო. მოგვიანებით, როცა ამ წარუმატებლობის შესახებ საუბრობდნენ, ვივერმა თავისი უიღბლობა იმით ახსნა, რომ ის ფრინველი ყველაზე სწრაფი იყო მსოფლიოში. მეგობრებმა ვივერი მასხრად აიგდეს და თქვეს, რომ ყველაზე სწრაფად სხვა ჩიტი დაუსახელეს. იმისთვის, რომ ეს დავა გადაეწყვიტათ, მათ სერ ჰიუს უმ-

დიდრესი პიპლიოთეკა გადაქექეს". სწორედ ამ კურიოზულმა შემთხვევამ მიიყვანა ის იმ აზრამდე, რომ ასეთი ხასიათის კამათი - საკმაოდ ხშირია მსგავს პაბებში. მაშინ, რატომ არ უნდა გამოსცეს ნიგნი, სადაც ყველა კითხვაზე პასუხს წინ სიტყვა - "ყველაზე" ექნებოდა. ამ იდეამ ის ვიღაც **ნორისა** და **როს მაკუირტე**რებს დააახლოვა, რომლებიც მოგვიანებით "გინესის წიგნის" პირველი რედაქტორები გახდნენ. მათ თავიანთი ცხოვრების მრავალი წელიწადი შეალიეს მთელს მსოფლიოში უჩვეულო მიღნევებისა და ფაქტების შეგროვებას. სწორედ ამ უმდიდრესი არქივიდან დაიწყო დღეს ყველასთვის ცნობილი - გინესის რეკორდეპის წიგნის ისტორია

პირველი გამოცემა წყალგაუმტარი გარეკანით გაკეთდა. იმიტომ, რომ წიგნი პაბებსა და ბარებში ვრცელდებოდა. მაგრამ, სულ მალე წიგნი ისეთი პოპულარული გახდა, რომ ბევრმა მოინდომა მისი პირად ბიბლიოთეკაში შეტანა. მას უკვე ერთმანეთს ჩუქნიდნენ შობასა და დაბადების დღეებზე. ხოლო 70-იან წლებში, ის ყველაზე რეალიზებადი ნიგნი გახდა და დღემდე ასეთად რჩება.

- რას წარმოადგენს გინესის რეკორ-

- დღეს, ჩვენი ბაზა დაახლოებით 40 ათას რეკორდს ითვლის. მაგრამ უნდა ვა-

ღიარო, რომ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, თუ რა რაოდენობის განაცხა-დი შემოდის ჩვენთან, ამა თუ იმ მიღწევას-თან დაკავშირებით. ყოველწლიურად, ოფისში დაახლოებით 60 ათასი წერილი და ამანათი მოდის. მათი 90-95 პროცენტის დაფიქსირება, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ შეგვიძლია. ყველაზე ნათელი მაგალითი? ბევრი წერს: "მე შემიძლია საკუ-თარი იდაყვი ავლოკო". ძალიან კარგი! მაგრამ, სად არის აქ გინესის რეკორდების

ნიგნის მთავარი სიტყვა - "ყველაზე". - კიდევ რა მიღწევის დაფიქსირება არ შეგიძლიათ?

ჩვენ უარს ვამბობთ ისეთი რეკორდის რეგისტრაციაზე, როგორიც არის მსოფლიოს გარშემო ცხენით მოგზაურობა. მოტივი მარტივია: საკუთარ თავს რაც გსურს, ის შეგიძლია გაუკეთო, მაგრამ რატომ უნდა მოუწყო ცხოველს ასე-თი სასტიკი გამოცდა? ასევე არ შეგვიძლია რეკორდად დაუაფიქსიროთ ავტომობილით ყველაზე სწრაფი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, რადგან ვერც ერთი პრეტენდენტი ვერ ამტკიცებს, რომ ამ რეკორდის დამყარებისას, არცერთხელ არ გადაუჭარბებია სიჩქარის დაშვებული ნორმისთვის. ხოლო, კანონის დარღვევის წახალისება ჩვენთვის დაუშვებელია. კიდევ ერთი მაგალითი: აშენება სისწრაფეზე. თუ ვიღაცამ სახლი ორ დღეში ააშენა, სად არის გარანტია, რომ ის ასევე სწრაფად არ დაინგრევა?

- სპორტის სამყაროშიც არის ისეთი რეკორდები, რომელთა ასახვაც არ შეიძლება გინესის წიგნის ფურც-

- დღეს, ასეთი არც ისე ბევრია. აი, 50-60-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში ძალიან პოპურალური იყო მელიებზე ნადირობა, რის წინააღმდეგაც მკაცრად ილაშქრებ-დნენ "მწვანეები". აღნიშნულ საკითხში მოგვინია ამ უკანასკნელთა მხარე დაგ-

ვეჭირა. არ ვმალავ, ბევრს მიაჩნია, რომ პოლიტკორექტულობისადმი სწრაფვა ხანდახან ფარსს ემგვანება. მაგრამ არ უნდა დავივინყოთ ჩვენი სამუშაოს სოციალური ფუნქცია, ამიტომაც, უფლება არ გვაქვს წიგნის ფურცლებზე გამოვაქვეყნოთ ისეთი მიღწევები, რომლებიც შეურაცხყოფას მიაყენებს ვიღაცის გრძნობებს.

- ისეთი რეკორდები თუ არსებობს, რომლებსაც ვერასოდეს გააუმჯობესე-

ვფიქრობ, არასოდეს დაემხობა ყველაზე მაღალი ადამიანის რეკორდი. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ისტორიაში დარჩება ყველაზე მსუქანი მამაკაცის რეკორდი - ის 600 კილოგრამს უტოლდება. საბედნიეროდ, დღეს მცხოვრებთა წონა 300 კილოგრამს არ სცილდება - ეს თანამედროვე მედიცინის დამსახურებაა. სხვათა შორის, იმ ადამიანს, რომელიც 635 კილოგრამს ინონიდა, კიდევ ორი რეკორდი ეკუთვნის: ყველაზე მეტი წონის დაკარგვა - თითქმის 400 კილოგრამი და წონებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა ქმარსა და ცოლს შორის.





ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

കാമാർ എയ്യാട്ട ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ർഗ്രത്തെയ്ന പ്രത്യക്ഷ E03M274 60374040 355@5 ᲗᲝᲗ5ᲫᲔ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ മാദാധ ദാമാപാ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ 3535 609M60330C0 %305C 350060330C0 ᲙᲝᲑᲐ **ᲮᲐ**ᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ **ᲒᲔᲡᲘᲙ ᲓᲐᲜᲒᲐ**ᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 3M&3KU& 60000 ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲒ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ** %ᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ გალასაძე, მერაგ გრძელიძე, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, 065350 5560805040. ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 5723-561-756040

&201607740 K2679960 908202 36290

&0d60J7603887990. ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, Მ**%**ᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲒᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲥᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, 3020862268648

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ Ლ<mark>Ე</mark>ᲚᲐ <mark>ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘ</mark>ᲫᲔ **ლ03363030ლ3330ლ0**

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ %ᲒᲣᲤᲘ: Დ<mark>ᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣ</mark>ᲠᲐᲫᲔ (დირექტორის მოადგილე), 2030 30353040. d0m0356 g0g80e0d0

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲕᲐ <u>Ე</u>ᲒᲐᲜᲝᲘᲫᲔ

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თპილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი, 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

Lanzan

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

്രാന്ന്യ ദന്ധദാക്കി കാന്മാർക്കുകാരി: 80k30cm 353585d3 (1949-52, 64-76) ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53) ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64) ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83) **みありで 8m80でいる (1984-85)** თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ**: ᲨᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ**Ი **ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲐᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**



35A&60MAN: ს3d δ 6 σ 3 σ 2 σ 0 σ 0 നന്നാടെറയ്ക്ക ფონლი

0.600978798 a. 3ML&535614, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10°. **0159 の**るの四のしの (മറമ്മെറെ, ১৮. 306മ്പകൗമറാ, 3043040 63400040); **35JUN:** +995.32463097 e-mail: sporti@sporti.ge; gazeti lelo@mail.nu ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ